ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

შაბათი – კვირა, 25 – 26 ნოემბერი, 2017

№280 (7515)

ფასი: 50 თეთრი

## „ქართულმა ოცნებამ“ სახალხო დამცველის პოსტზე ნინო ლომჯარია წარადგინა





## 23 ნოემბრიდან

ლაშა იმედაშვილი

სამი მკვლელობა ძველ თბილისში

პატრიარქის ზაფხული

ქართული დეტექტივი

ტომი 13




ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

# ქართულმა სასამართლომ ტერორიზმში ბრალდებულ რუსეთის მოქალაქეს წინასწარი პატიმრობა შეუფარდა



მას ბრალად ედება უცხო ქვეყნის ტერორისტულ ორგანიზაციაში გაერთიანება, ცეცხლსასროლი იარაღის და ფეთქებადი ნივთიერების უკანონო შეძენა, შენახვა და ტარება

გვ.4

ადვოკატი განაჩენს სააპელაციოში გაასაჩივრებს

## რატომ არ ჩაატარებინეს სპეცოპერაცია თავიდანვე ანტიტერორისტულს?

გვ.3



„ტერორიზმის თვალსაზრისით საქართველო უსაფრთხო ქვეყანაა“

## თორნიკე შარაშენიძე: „თუ ლიკვიდირებული პირი ჩატაევია, ეს კატასტროფაა“



გვ.2

### სამართალი

გვ.7

ლიმონათის 4 მწარმოებელს საწარმოო პროცესი შეუჩერდა



ბოლნისში 43 წლის მამაკაცი არყის გამოსახდელ ქვაბში ჩავარდა



მამათმავლობაში ბრალდებულს 8 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა



### ეკონომიკა

გვ.6

ფიზიკური პირებისთვის ლარში გაცემული სესხების რაოდენობა იზრდება



ფიზიკურ პირებს ბირჟაზე განთავსებული ობლიგაციებიდან მიღებულ შემოსავალს აღარ დაუბეგრავენ



„ლილო მოლის“ პრეზიდენტი: „მოვაჭრეების ახლებურად დაბეგვრა ლიბერალურია“



მომავალი წლიდან ბინები შეიძლება გაძვირდეს



ISSN 1987-9385

4 ჯუმბერ თავართქილაძე: „ბათუმის ღამის კლუბები ბორდელებადაა ქცეული“

5 ანზორ აბრალავა: „ჩვენი სტატისტიკა გაეროს მონაცემებს არ ემთხვევა“

5 საქართველოში ელექტროავტობუსების წარმოების დასაწყებად 5 მილიონის ინვესტიცია ჩაიდება

2 მამუკა არეშიძე: „თბილისში ჩატარდა საერთაშორისო ანტიტერორისტული ოპერაცია“

# მამუკა არეშიძე: „თბილისში ჩატარდა საერთაშორისო ანტიტერორისტული ოპერაცია“

## „ჩატაევს საქართველოში მაშინ კონკრეტული დანაშაული ვერ დაუმტკიცეს“

ნონა ცაბაძე

**ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე ჩატარებულ სპეცოპერაციას „ახალ თაობასთან" საუბარში ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე აფასებს.**



**მამუკა არეშიძე:**

– ამ სპეცოპერაციას ცალკე ვერ განვიხილავ. ვეყრდნობი შინაგან საქმეთა მინისტრ გახარიას განცხადებას იმის თაობაზე, რომ ეს საერთაშორისო ანტიტერორისტული ოპერაცია იყო. მეც სწორედ ამ აზრისკენ ვიხრები და შემიძლია გითხრათ მინიშნებით და მაქვს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ სხვა ქვეყნებშიც ტარდებოდა პარალელური პროცესი და ეს მართლა იყო ანტიტერორისტული საერთაშორისო ოპერაცია. ასევე არ გამოვრიცხავ, რომ მზადდებოდა სერიოზული ტერაქტი.

***– საკმაოდ სერიოზული თემაა, გაქვთ ამის თქმის საფუძველი?***

– ვერ გეტყვით იმას, რომ აუცილებლად ასე იქნებოდა, თუმცა მე ამის თქმის საფუძველს მაძლევს ბოლო განცხადება, რომელიც პრაქტიკულად გამქრალმა ორგანიზაციამ გააკეთა. ეს არის კავკასიური იმარატი, რომელმაც უცებ რეანიმაციის თაობაზე განცხადება გააკეთა. კარასინის განცხადებაც მოწმობს, რომ გარკვეული ინფორმაციები რუსეთში არსებობდა იმ მოვლენებთან დაკავშირებით, რომლებზეც მე ვაკეთებ აქცენტებს.

***– კერძოდ?***

– ჩრდილოეთ კავკასიაში ახალი პროცესების დაწყებას ვგულისხმობ.

***– მავანი რუსულ ინტერესებზეც ალაპარაკდა, ამაზე რას ფიქრობთ?***

– არ გამოვრიცხავ. ჩვენ იმდენად შეზღუდული გვაქვს ინფორმაციის სივრცე, რომ იძულებულები ვართ, ვერსიებზე ვილაპარაკოთ. ჯაველინების მიღება ქართული მხარისთვის, ან თუნდაც აღმოსავლეთ პარტნიორთა სამიტი ბრიუსელში, სადაც საქართველოსთვის დამატებითი შეიარაღების გამოყოფაზეა საუბარი, ეს ყველაფერი რომ მოსკოვისთვის გამაღიზიანებელი იქნებოდა, ეს ფაქტია. ასე რომ, არც ამის გამორიცხვა შეიძლება. მე ბოდიში უნდა მოვუხადო მკითხველს, რადგან მეც და სხვებიც ვერსიების დონეზე ვლაპარაკობთ, სხვა გამოსავალი არ გვაქვს, მაქსიმალურად შეზღუდული გვაქვს ინფორმაცია.

***– ნაცმოძრაობა პრეტენზიებს უყენებს ხელისუფლებას, რომ არ უნდა გაეთავისუფლებინათ ჩატაევი, ის სწორედ „ქართულმა ოცნებამ“ აარიდა პასუხისმგებლობასო. ამაზე რას იტყვით? რატომ გაუშვეს თავის დროზე?***

– ახმედ ჩატაევის საქმეში ჩახედული ვარ და მაშინ მას კონკრეტული დანაშაული ვერ დაუმტკიცეს. ვერც ის დაუმტკიცეს, რომ მისი ინიციატივით ჩამოდიოდნენ აქ მებრძოლები, ვინც ლაფანყურის ოპერაციაში მიიღო მონაწილეობა. მაშინ უფრო სხვა ადამიანებზე იყო ლაპარაკი. ამ პროცესში ჩატაევის კვალი ისე აშკარად არ ჩანდა. არ იყო ეს ყველაფერი დასაბუთებული და ადამიანს თუ ვერაფერს დაუმტკიცებ, რა უნდა ქნა?!

***– ვერაფერი დაუმტკიცეს და ამიტომ გაათავისუფლეს?***

– ასე ხელაღებით არავის გაუთავისუფლებია, ის იყო გირაოთი გათავისუფლებული და პირობა იყო დადებული, რომ ავსტრიაში მკურნალობის შემდეგ უკან დაბრუნდებოდა. რადგან არ დაბრუნდა, ამის შემდეგ გამოცხადდა ძებნა. მე კი არ ვამართლებ ვინმეს, უბრალოდ. მინდა ავხსნა, თუ რატომ იყო მაშინ გაშვებული ჩატაევი. ჩატაევი ამის მერე გახდა ისლამური ხალიფატის იდეოლოგიური მანქანის ერთ-ერთი ლიდერი. მანამდე არ ჩანდა ეს ასე.

***– ასევე ჩნდება კითხვები, თუ როგორ მოხერხდა ამხელა არსენალის შემოტანა. საუბარია, რომ აღნიშნული ბინა სავსე იყო საბრძოლო იარაღით.***

– ეს არსენალი ადგილზეა მოპოვებული. ფაქტია, რომ საზღვარზე არსენალით არავინ შემოვა. რატომ გვიკვირს? ამერიკაში მკვლელს, რომელიც სასტუმროს ფანჯრებიდან ისროდა ლოს ანჯელესში, სავსე ჰქონდა სასტუმროს ნომერი იარაღით. ისეთი კონტროლის პირობებში, როგორიც ამერიკაშია, მან მაინც მოახერხა ამის გაკეთება.

საქართველო არის ქვეყანა, რომელიც თვითონაც კონფრონტაციის ზონაშია თავის დაკარგულ პროვინციებთან და ეს პროვინციები, განსაკუთრებით კი სამხრეთ ოსეთი, სავსეა იარაღით. პრობლემა არ არის იქიდან აქეთ იარაღის შემოტანის. გარდა ამისა, ჩვენ გვერდით არის მუდმივი ომის რეჟიმში მყოფი ყარაბაღი. ამიტომ ჩემთვის განსაკუთრებულ უცნაურობას არ წარმოადგენს, რომ იარაღი იშოვოს ადამიანმა.

# თორნიკე შარაშენიძე: „თუ ლიკვიდირებული პირი ჩატაევია, ეს კატასტროფაა“

ნათია ხურცილავა

**საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი, ჯიპას პროფესორი თორნიკე შარაშენიძე, „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში სპეცოპერაციის შედეგებზე საუბრობს.**

***– ბატონო თორნიკე, რატომ არ ახდენს ხელისუფლება იმ პირების იდენტიფიცირებას, რომლებიც ლიკვიდირებული არიან, რატომ ტოვებს სპეკულაციებისთვის ღია ადგილს? ლიკვიდირებული პირი არის თუ არა ახმეტ ჩატაევი, ამაზე საერთაშორისო პრესაც საუბრობს.***

– პირველი, ხელისუფლება არ არის ვალდებული, რომ გაამჟღავნოს ამ პირების ვინაობა. ეს ძალიან სერიოზული თემაა. ზოგადად მთელ მსოფლიოში ტერორისტების იდენტიფიცირება ასე მარტივად არ ხდება. თუმცა, თუ ლიკვიდირებული პირი მართლაც ჩატაევია, მაშინ საქმე ბევრად უფრო რთულდება და ეს სერიოზული პრობლემაა.

თავის დროზე, 2012 წელს, მოგეხსენებათ, ჩატაევი ტაშ-ფანდურით გავუშვით და კიდევ ვილაც-ვილაცები. ჩატაევმა შემდეგ სტამბოლში აეროპორტში ტერაქტი მოაწყო. ამის შემდეგ, თუ კიდევ საქართველოს საზღვარი გადმოკვეთა, ქვეყანაში შემოვიდა და პლუს ტერაქტი მოაწყო, ეს უკვე კატასტროფაა.

თუ ლიკვიდირებული პირი მართლაც ჩატაევია, მაშინ საქმე სერიოზულ ჩავარდნასთან გვაქვს. ეს იქნება ჩავარდნა, სერიოზული ჩავარდნა იმის, რასაც 2012 წელს პოლიტპატიმრების გათავისუფლება დაერქვა.

***– თუ მართლაც ჩატაევია ლიკვიდირებული „ისლამური სახელმწიფოსგან“, შეიძლება სერიოზული საფრთხე დაგვემუქროს?***

– არა მგონია. „ისლამური სახელმწიფო“ საქართველოს არ ერჩის და მისი სამიზნე არ არის ჩვენი ქვეყანა. ჩვენ გვაქვს ძალიან ლიბერალური სავიზო რეჟიმი, საქართველოში შემოსვლა ძალიან ადვილია, შემოდიან ადამიანები, მაგრამ მათ შორის არ უნდა იყოს ჩატაევი. ჩატაევი ასე მარტივად ვერ უნდა შემოვიდეს.

„ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლები ძირითადად რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები არიან. მოგეხსენებათ, რომ ამ ბრძოლაში ახლა „ისლამური სახელმწიფო“ მარცხდება, ისრაელში ტერიტორიებზე კონტროლი პრაქტიკულად დაკარგა, რომელიც თავის ტერიტორიებად ჰქონდა გამოცხადებული. ახლა ეს მებრძოლები უკან, რუსეთში ბრუნდებიან. ბუნებრივია, საქართველოს ტერიტორიის გავლით ბრუნდებიან, რაც ჩვენთვის ნამდვილად არის პრობლემა. ეს ქმნის სერიოზული უსაფრთხოების გამოწვევის საფრთხეს და არა ის, რომ „ისლამური სახელმწიფო“ ჩვენ გამოგვიცხადებს ომს. მათ თუ ვინმესთან აქვთ საომარი, აქვთ რუსეთთან. რუსეთმა დიდი წვლილი შეიტანა „ისლამური სახელმწიფოს“ განადგურებაში.

***– ჩვენ არ ვართ ტერორისტების უშუალო სამიზნე, მაგრამ ე.წ. მესამე ქვეყნად, ტრანზიტად შეიძლება იყოს საქართველო გამოყენებული?***

– დიახ, სწორედ ასეა. ეს არის საქმე, რომ შეიძლება ტრანზიტად გამოგვიყენონ. ჩვენ არ უნდა მივცეთ არანაირი საბაბი იმავე რუსეთს, რომ ტერორიზმის ტრანზიტი დაგვაბრალოს, რომ თითქოს ტერორისტებს კომფორტი შევუქმენით აქ. არავითარ შემთხვევაში ამის დაბრალების საბაბი არ უნდა მივცეთ რუსეთს. ახლა საქართველოს მთავარი გამოწვევა სწორედ ეს არის. თუმცა, ასეთი მძიმე სპეცოპერაციის შემდეგ, რომელიც ძალოვნებმა ჩაატარეს, ასეთი ბრალდება, წესით, ადვილი არ უნდა იყოს.



***– საზღვრების დაცვის საკითხი დგება დღის წესრიგში, რამდენად ადეკვატურად იყო საზღვარი დაცული? შინაგან საქმეთა მინისტრმა დაადასტურა, რომ დაკავებული პირი რუსეთის მოქალაქეა. როგორ შემოაღწია?***

– შეიძლება, როგორც რიგითმა მოქალაქემ, გადმოკვეთა საზღვარი ჩვეულებრივ რუსული პასპორტით. არ არის გამორიცხული, რომ გაყალბებული პასპორტით გადმოვიდა, სხვა სახელია და გვარით. თუ ეს ადამიანი არ არის საერთაშორისო ძებნილი, ტერორისტად გამოცხადებული, მაშინ ის ჩვეულებრივ შემოვიდოდა, როგორც რუსეთის მოქალაქე. ჩვენ საზღვარზე ვუშვებთ რუსეთის მოქალაქეებს ჩვეულებრივ. მათ არ სჭირდებათ ვიზა. საზღვრების ლიბერალიზაციის საკითხი, ერთი მხრივ, კარგია, შემოდიან ტურისტები ქვეყანაში, ფული შემოაქვთ, მაგრამ, მეორე მხრივ, შეიძლება პრობლემა იყოს სწორედ ამ კუთხით.

***– რამდენად წარმატებული იყო თვითონ სპეცოპერაცია? ბევრი საუბრობდა ხანგრძლივობაზე.***

– მე არ ვარ ამ საკითხის სპეციალისტი, მაგრამ ფაქტია, რომ პირველი: მათ ვერ მოახერხეს უდანაშაულო ადამიანების მძევლად აყვანა. ეს სერიოზული მიღწევაა. მეორე, ჩვენს სპეცრაზმს საქმე ჰქონდა „ისლამური სახელმწიფოს“ ფანატიკოს მებრძოლებთან, რომლებიც ყველაზე საშიშები არიან. ამდენად, მათთან ბრძოლა ასეთი მარტივი არ არის, რომ საათები დათვალო. „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლები გამოირჩევიან როგორც ფანატიზმით, ასევე სერიოზული ბრძოლისუნარიანობით. ამდენად, ამ ფაქტებიდან გამომდინარე უნდა ვიმსჯელოთ.

***– შეიძლება ვთქვათ, რომ ეს სპეცოპერაცია წარმატებული იყო?***

– დიახ, ალბათ იყო წარმატებული, მაგრამ, მეორე მხრივ, იყო გარკვეული ქაოსი, რაც გამოჩნდა. სახელმწიფო უწყებებს შორის კოორდინაციის ნაკლებობა გამოჩნდა. ჩვენ არ გვაქვს ინსტიტუტი, უწყება, რომელიც კრიზისულ სიტუაციაში შესაბამისი უწყებების სამუშაოების კოორდინაციას მოახდენს. თქვენ იცით, თუ რა პრობლემაზე ვაკეთებ აქცენტს და რა პრობლემა გამოაჩინა ამ კრიზისულმა ვითარებამ.

***– რამდენად რეალური შეიძლება იყოს საფრთხე პანკისის ხეობიდან? მე მახსოვს 90-იანი წლები, როდესაც პანკისი იყო პრობლემა. უხუცესები ჟურნალისტებთან საუბარში აცხადებენ, რომ პანკისელები სამშობლოს წინააღმდეგ იარაღს არასდროს აიღებენ...***

– ძნელია ამაზე საუბარი, გამორიცხული ბოლომდე არაფერი არ არის, მაგრამ უხუცესების განცხადება, რომ პანკისელი საქართველოს არასდროს არაფერს დაუშავებს, საინტერესო ნათქვამია. საქართველოს არაფერს დაუშავებს პანკისელი, მაგრამ საქართველოს ტერიტორიის გამოყენება თუ უნდა, მაგალითად, რუსეთში ტერორისტული აქტის მოსაწყობად, ბუნებრივია, ეს ჩვენთვის მიუღებელია.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# რატომ არ ჩაატარებინეს სპეცოპერაცია თავიდანვე ანტიტერორისტულს?

## ზვიად კუპრავა: „სპეცოპერაცია დილეტანტმა დაგეგმა“

შორენა მარსაგიშვილი

**გახდება თუ არა საქართველო ტერორისტების სამიზნე, რა კითხვებს უნდა უპასუხოს ხელისუფლებამ, რა კავშირშია ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებთან რუსეთის ულტიმატუმი? – ამის შესახებ „ახალ თაობას" სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის ხელმძღვანელი ზვიად კუპრავა ესაუბრება.**

***– რამდენიმე თვის წინ თქვენ „ახალ თაობასთან“ საუბარში განაცხადეთ, რომ რუსეთმა საქართველოს ვაზიანის სამხედრო ბაზის გადაცემა მოსთხოვა და უარის მიღების შემდეგ საქართველოს ხელისუფლებას გადაბუგვით დაემუქრა. ზაფხულში ძალიან ბევრი ხანძარი გაჩნდა საქართველოში და თქვენ ეჭვი გამოთქვით, რომ ამის უკან რუსეთი იდგა. მაშინ ისიც განაცხადეთ, რომ მალე რუსეთი ტერაქტებსა და დივერსიებზეც გადავიდოდა. 21-22 ნოემბრის სპეცოპერაციის დროს დაკავებულია რუსეთის მოქალაქე. თქვენი აზრით, ამ ამბავთან რუსეთს რაიმე კავშირი აქვს?***

– არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება, მით უმეტეს, რუსულ კვალზე. დღეს ყველაზე სერიოზული საფრთხე საქართველოს სწორედ ჩრდილოეთიდან ემუქრება. როცა მე „ახალ თაობას“ რუსეთიდან წამოსულ მუქარაზე ვესაუბრე, მაშინ ტერაქტების წინაპირობა არ იყო, მაგრამ ვთქვით, რომ ეს მოსალოდნელი იყო.

მაშინ მოსკოვმა თბილისს საშინელი პირობები წაუყენა. მათი შესრულება ფაქტიურად კაპიტულაციას ნიშნავდა. ისინი ვაზიანის სამხედრო ბაზას ითხოვდნენ, სადაც ანტიტერორისტული ცენტრის გაკეთებას აპირებდნენ. ამაზე ბიძინა ივანიშვილმა უარი უთხრა. სასწრაფოდ ჩამოვიდნენ ამერიკელები და ამ ბაზაზე საერთაშორისო წვრთნები ჩატარდა. არც აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტის ვიზიტი ყოფილა შემთხვევითი. მოკლედ, ამერიკელების ჩარევით ვაზიანის სამხედრო ბაზა რუსებმა ვერ მიიღეს.

მაშინ რუსეთის ხელისუფლება ჩვენებს პირდაპირ დაემუქრა, გადაგბუგავთო. ცოტა ხანში დაიწყო კიდევაც ხანძრები. მაშინ ვივარაუდეთ, რომ ამის გაგრძელება იქნებოდა ტერაქტები.

რუსებს ანტიტერორისტული ბაზის გახსნაზე სააკაშვილმაც უარი უთხრა. მოსკოვი მაშინ ბათუმის სამხედრო ბაზის გადაცემას ითხოვდა. ამ უარის საპასუხოდ მივიღეთ გორის ტერაქტი.

აქედან გამომდინარე თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ იმის უკან, რაც ახლა მოხდა, რუსეთი იდგეს.

***– გავრცელებული ინფორმაციით, ოპერაციის დროს ლიკვიდირებულთა შორის ერთ-ერთი ახმედ ჩატაევია. ის წლების მანძილზე ებრძოდა რუსებს. ის 19 წლის იყო, როცა რუსებმა გაიტაცეს, აწამეს და ხელი მოაჭრეს. შეიძლებოდა ამ ადამიანს რუსეთის სპეცსამსახურების დავალება შეესრულებინა?***

– ეს ადამიანი ნამდვილად რუსებმა გააუბედურეს, მათ წინააღმდეგაც იბრძოდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს რომ რაღაც პერიოდის შემდეგ მათი დავალებების შემსრულებელი არ გახდებოდა.

ჩატაევი 2012 წელს, ლაფანყურის სპეცოპერაციის შემდეგ დააკავეს. პატიმრობიდან ის „ოცნებამ“ გაათავისუფლა. გასული წლის ზაფხულში მან სტამბულის აეროპორტში სერიოზული ტერაქტი მოაწყო. ბუნებრივია, დაისვა კითხვები, თუ რატომ მოხდა მისი გათავისუფლება. თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი სესიაშვილმა განაცხადა, რომ ჩატაევი იყო საქართველოს სპეცსამსახურების აგენტი.

გამომდინარე იქედან, რომ სესიაშვილს წვდომა აქვს საიდუმლო ინფორმაციებზე, აგენტების შესახებაც ეცოდინება. მე მის განცხადებაში ეჭვი არ შემპარვია, მაგრამ აქ მეორე საკითხია, რამდენად შეიძლება ამ ინფორმაციის საჯარო სივრცეში გავრცელება. ამის გამო სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრმა მის წინააღმდეგ პროკურატურაში სარჩელიც შეიტანა. ჩვენს საჩივარს შედეგი არ მოჰყოლია.

ზემოთ გავიხსენეთ, რომ ჩატაევს ხელი რუსებმა მოაჭრეს. ფეხი მან ლაფანყურის სპეცოპერაციისას დაკარგა და, ამის მიუხედავად, როგორც სესიაშვილი გვეუბნება, ის საქართველოს აგენტი იყო. ამავე ლოგიკით, ის ასევე შეიძლებოდა ყოფილიყო რუსეთის აგენტი. რუსეთი მას იქ გამოიყენებდა, სადაც დასჭირდებოდა.

მის შესაძლო ლიკვიდაციასთან დაკავშირებით ძალიან დიდი მითქმა-მოთქმაა. ხელისუფლებას ამის დამთავრება ძალიან მარტივად შეუძლია. გამოძიების და ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე შესაძლოა, ლიკვიდირებულთა ვინაობის გამხელა სარისკოა, მაგრამ ვინაობის გამხელის გარეშეც შეიძლება იმის თქმა, რომ ლიკვიდირებულთა შორის ჩატაევი არ არის.

***– ალბათ ყველაზე მარტივად მისი იდენტიფიცირებაა შესაძლებელი. ადამიანს ხელი და ფეხი აქვს მოჭრილი.***

– ეს ასეა და ჩატაევის გვარის ხსენება თუ ეშინიათ, გვითხრან, რომ ლიკვიდირებულთა შორის არ იყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი. გარდაცვლილთა შორის თუ მართლაც აღმოჩნდება ჩატაევი, ეს ძალიან სერიოზული პრობლემა იქნება.

***– ამ შემთხვევაში ალბათ უნდა აგვიხსნან, როგორ მოხვდა ის საქართველოში.***

– ამაზე მართლაც მოუწევთ პასუხის გაცემა. თუ მართლა ჩატაევია ლიკვიდირებული, ეს კიდევ ერთხელ დაამტკიცებს, რომ საქართველოს საზღვარი მთლიანად მორღვეულია.

საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გააცნობიეროს, რომ ტერორიზმთან ბრძოლა სპეციფიკურია და მას სხვანაირი დამოკიდებულება სჭირდება. 21-22 ნოემბრის სპეცოპერაციასთან ბევრი შენიშვნა მაქვს და ხელისუფლებას ვურჩევ, ამ მიმართულებით იმეცადინოს. ამ შემთხვევაში ნიშნის მოგებით არ ვსაუბრობ, კარგად მაქვს გაცნობიერებული, რომ ჩვენი სიცოცხლე და უსაფრთხოება მათ პროფესიონალიზმზეა დამოკიდებული.

სპეცრაზმელებთან დაკავშირებით საყვედურს ვერ ვიტყვი. ისინი კარგად არიან მომზადებული და არაერთი მნიშვნელოვანი სპეცოპერაცია აქვთ ჩატარებული. ჩვენ ძალიან მაგარი სპეცსამსახურები გვყავს. სამაგიეროდ, 21-22 ნოემბრის სპეცოპერაციის დაგეგმარება ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს.

ჩვენ ყველამ ვნახეთ ფანჯრიდან გადმოყუდებული ტერორისტები, რომლებიც სპეცრაზმელებს ესროდნენ. მათთვის ამის უფლება არ უნდა მიეცათ. აივანზე გადმოყუდება კი არა, როგორც კი ფანჯრიდან გამოიხედავდა, იქვე უნდა დაედღულებინათ.




## „ტერორიზმის თვალსაზრისით საქართველო უსაფრთხო ქვეყანაა“

მიმდებარე ტერიტორია სნაიპერებით უნდა ყოფილიყო გადაჭედილი. ისინი უნდა მსხდარიყვნენ ხეებზე, სახურავებზე. ყველა ფანჯარა კონტროლზე უნდა ყოფილიყო აყვანილი. მით უმეტეს, ვიცით, რომ ის ადამიანები, რომლებსაც ჯერ ტერორისტებს ვერ ვუწოდებთ, რადგანაც ეს დამტკიცებული არაა, სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილას იყვნენ.

***– თუ ეს ადამიანები დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები იყვნენ, მათ ასაყვანად ამხელა სპეცოპერაცია გამართლებულია.***

– სპეცოპერაცია სპეცოპერაციაა, ამ ადამიანებმა პოლიციას გაუხსნეს ცეცხლი. ერთი სპეცრაზმელი გვყავს დაღუპული და 3 დაჭრილია. ასეთ დროს რაღაც კომპრომისებზე წასვლა არ შეიძლება. როცა პოლიციას ანუ სახელმწიფოს ესვრი, იქ აუცილებლად უნდა მიიღო პასუხი. სამართალდამცავებს ლეგიტიმური უფლება აქვთ, მოახდინონ მათი ლიკვიდაცია.

დაგეგმარების და სნაიპერების თემას გავაგრძელებ. ძალიან მაგარი სნაიპერები გვყავს. როგორც ჩანს, მათ დავალება არ ჰქონდათ მიღებული, თორემ დამნაშავეებს ცხვირს არ გამოაყოფინებდნენ გარეთ.

იმას თავი დავანებოთ, რომ დამნაშავეები აივანზე გამოდიოდნენ და სპეცრაზმელებს დამიზნებით ესროდნენ და ბინიდან ბინაში გადადიოდნენ. ერთ-ერთმა დამნაშავემ, რომლის ფოტოებიც გავრცელდა, სადარბაზოდან გამოსვლა მოახერხა, სადღაც 20 მეტრი გაიარა და მერე აიფეთქა თავი. ვილაცამ გვითხრას, ამ ადამიანმა როგორ გამოაღწია ბლოკირებული სადარბაზოდან, როგორ გაიარა 20 მეტრი და როგორ აიფეთქა თავი. ეს ფაქტიც მიუთითებს იმაზე, რომ სპეცოპერაცია დაგეგმილი არ იყო.

როგორც გვეუბნებიან, სპეცოპერაცია 21 ნოემბრის 22.00 საათზე დაიწყო. იმ სადარბაზოდან ადამიანების ევაკუაცია 22 ნოემბრის 03.00 საათზე დაიწყეს. დამნაშავეებს ფაქტიურად 5 საათი ჰქონდათ დრო იმისთვის, რომ მძევლები აეყვანათ.

***– დამნაშავეებმა, თავის მხრივ, კეთილი ნება გამოიჩინეს და მძევლები არ აიყვანეს.***

– როგორც ჩანს, იმათ რაღაც მნიშვნელოვანი არ ჰქონდათ დაგეგმილი და მძევლების აყვანა არც უცდიათ. ეს რომ სდომნოდათ, ამისთვის 5 საათი ჰქონდათ დრო.

***– იქნებ ეს ადამიანები ვერ მიხვდნენ, რომ სპეცოპერაცია მათ წინააღმდეგ ტარდებოდა და ამიტომ არ აიყვანეს მძევლები.***

– არა მგონია, ისეთი მიამიტები ყოფილიყვნენ, რომ ეჭვი არ აეღოთ. მთელი უბანი ალყაში იყო და იმ სადარბაზოდან ხდებოდა ხალხის გამოყვანა, სადაც ისინი იმყოფებოდნენ. სპეცოპერაცია ნორმალურად რომ დაეგეგმათ, ხალხის ევაკუაცია მაშინ დაიწყებოდა, როგორც კი ყვითელი ლენტები გაავლეს.

დამნაშავეებს იმ ღამით მძევლები რომ აეყვანათ, სპეცოპერაცია ახლაც არ იქნებოდა დამთავრებული. როდესაც დამნაშავეებს მძევლები აჰყავთ, იქ უკვე ისინი განკარგავენ პროცესებს. სახელმწიფო მძევლებს არ დახოცავს, ბოლოს და ბოლოს რუსეთში ხომ არა ვართ, სადაც მძევლების დახოცვა არ ადარდებთ.

***– მადლობა ღმერთს, რომ რუსეთი არა ვართ.***

– რუსეთი არა ვართ და ჩვენი სახელმწიფოც იზრუნებდა მძევლების გადარჩენაზე. ხისტი მოქმედებების საშუალება არ ექნებოდათ და, როგორც უკვე გითხარით, სპეცოპერაცია ახლაც არ იქნებოდა დამთავრებული.

იმ ადამიანებმა, ვისაც ასეთი სპეცოპერაციების დაგეგმვა ევალება, ცოტა მეტი უნდა იმეცადინონ. მადლობა ღმერთს, ტერორიზმის საფრთხეებთან დაკავშირებით მეოთხე დონეზე ვართ. მეოთხე დონე იმას ნიშნავს, რომ ტერორიზმისგან ბევრად უფრო დაცულები ვართ, ვიდრე ევროპა და ამერიკა.

21-საათიანი სპეცოპერაციის ჩატარება საჭირო სულაც არ იყო და მათი განეიტრალება ძალიან მარტივად შეიძლებოდა. ჩუმად შეიძლებოდა მისვლა და თოფებით ფანჯრებიდან დასაძინებელი გაზის კაფსულების შეყრა. დაიძინებდნენ ეს ადამიანები, მერე შეანგრევდნენ კარს და დაძინებულებს აიყვანდნენ.

***– ეს დასაძინებელი გაზი სადარბაზოში მცხოვრებ სხვა ადამიანებს არ შეუქმნიდა პრობლემებს?***

– არც სადარბაზოში მცხოვრებლებს მოუვიდოდათ რამე და არც იმათ, ვისაც ამ კაფსულებს შეუყრიდნენ – 24 საათის შემდეგ, თავის ტკივილით გაიღვიძებდნენ, მეტი ჩივილები არ ექნებოდათ.

ოპერაცია რომ მოუმზადებელია, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ დამნაშავეთა ვინაობას მათი ლიკვიდაციის შემდეგ ადგენენ.

***– გვეუბნებიან, რომ 3 კვირა უთვალთვალებდნენ და წესით მათი ვინაობა მაინც უნდა დაედგინათ. თქვენ გჯერათ, რომ 3 კვირის მანძილზე ვინაობის დადგენა ვერ მოახერხეს?***

– ცხადია, ამის არ მჯერა. რატომღაც მგონია, რომ ოპერატიული ინფორმაცია შეუვიდათ და დაუგეგმავად გადაწყვიტეს სპეცოპერაციის ჩატარება. ოპერაცია დაიწყო სუსმა, მერე მიხვდნენ, რომ პრობლემას ვერ უმკლავდებოდნენ და ანტიტერორისტულს დაუძახეს. ანტიტერორისტული სამსახური ოპერაციაში გამთენიისას ჩაერთო.

ძალიან მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, დროის რა მონაკვეთში დაიჭრნენ ჩვენი სპეცრაზმელები. შესაძლოა, ანტიტერორისტული მათი დაჭრის შემდეგ გამოიძახეს. იმის შესახებ თუ ჰქონდათ ინფორმაცია, რომ ბინაში ტერორისტები იყვნენ, ოპერაცია ანტიტერორისტულს უნდა ჩაეტარებინა.

***– თქვენი აზრით, ისინი მარტივად ჩაატარებდნენ სპეცოპერაციას?***

– ეჭვიც არ მეპარება. ეს ადამიანები ტერორისტებთან საბრძოლველად არიან მომზადებული. ტერორისტებთან ბრძოლაში არც კრიმინალურ პოლიციას ავარჯიშებენ, არც საპატრულოს და არც სუსს. ტერორისტებთან ბრძოლის უნარ-ჩვევებს მხოლოდ ანტიტერორისტულის მებრძოლებს ასწავლიან.

ძალიან მაინტერესებს, რატომ არ ჩართეს თავიდანვე საქმეში ანტიტერორისტული. გარდა იმისა, რომ ოპერაცია მათ უნდა ჩაეტარებინათ, მისი დაგეგმარებაც ანტიტერორისტულს უნდა მოეხდინა.

ამათი დაგეგმილი სპეცოპერაცია, 100%-ით ვარ დარწმუნებული, რომ წარმატებით დასრულდებოდა. 3-4 ადამიანის გამკლავება არ არის რთული. მით უმეტეს, როცა მათი ლოკაცია იცი და ისინი ერთ ადგილზე იმყოფებიან. გაშლილ სივრცეში ბევრად რთულია სპეცოპერაციის ჩატარება.

თამამად შემიძლია ვთქვა, რომ 21-22 ნოემბრის სპეცოპერაცია დილეტანტმა დაგეგმა. ამის შედეგები სახეზეა – 21 საათი ებრძოდა სახელმწიფო 3 ადამიანს. აქედან ერთი შესაძლოა ცალფეხა და ცალხელა იყოს.

ნამდვილად არ მიხარია, რომ ხელისუფლების სისუსტე გამოჩნდა. ეს ისეთი ამბავია, სადაც წარმატება ყველას უნდა გვინდოდეს. იმედია, ამას გაკვეთილად მიიღებენ და იმეცადინებენ. 2 თუ 3 კაცს 21 საათი ვებრძოდით და ხომ წარმოგიდგენიათ, რა მოხდებოდა, იმ ბინაში 10 ან 15 კაცი რომ ყოფილიყო.

***– ამ შეცდომების გაანალიზების შემდეგ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველო დაცულია ტერორისტებისგან? თქვენ ზემოთ მეოთხე დონე ახსენეთ და ისევ ამ დონეზე დავრჩებით?***

– ტერორისტებისგან დაცული არავინ არ არის. ამის მიუხედავად, ტერორიზმის თვალსაზრისით საქართველო მაინც უსაფრთხო ქვეყანა ვართ და მეოთხე დონეზე ვრჩებით. ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ სულ ასე იქნება. ეს ყველაფერი ხელისუფლების სწორ პოლიტიკაზეა დამოკიდებული.

ერთ-ერთ გადაცემაში გამოსვლისას გუბაზ სანიკიძემ განაცხადა, რომ ამ სპეცოპერაციის შემდეგ ხალიფატი გადაგვემტერება. ეს არის ხალხის დაზაფვრა. მსგავსი არაფერი მოხდება. თან ჯერ ისიც არ ვიცით, ვინ არიან დაღუპულები.

ერთ-ერთმა ადამიანმა ისიც კი თქვა, რომ ესენი ბიძინა ივანიშვილის ლიკვიდაციას აპირებდნენ, რაც სისულელეა.

***– ლაფანყურის სპეცოპერაციის შემდეგაც ასეთი ინფორმაცია გავრცელდა, ამბობდნენ, სააკაშვილმა მაშინ ჩეჩნები იმიტომ დაახოცინა, რომ მათ ივანიშვილის ლიკვიდაციაზე თქვეს უარი.***

– ესეც სისულელეა. ახლა ათასი ვერსია გავრცელდება. ამ დღეებში ჩატარებულ ოპერაციასთან ძალიან ბევრი კითხვა არსებობს და რაც მალე გასცემს ხელისუფლება ამ კითხვებს პასუხს, მით უკეთესი იქნება.

# ქართულმა სასამართლომ ტერორიზმში ბრალდებულ რუსეთის მოქალაქეს წინასწარი პატიმრობა შეუფარდა

შორენა მარსაგიშვილი

თბილისში, გაბრიელ სალოსის ქუჩაზე სპეცოპერაციისას დაკავებული რუსეთის მოქალაქე ს.დ. დუმილის უფლებას იყენებს. მისი ადვოკატი კი თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას სააპელაციოში გაასაჩივრებს.

ს.დ.-ს ადვოკატმა იმედა ქარქაშაძემ დაცვის ქვეშ მყოფის ვინაობა არც 24 ნოემბერს გაამხილა. ის მხოლოდ იმას ამბობს, რომ ს.დ. რუსეთის მოქალაქეა.

სასამართლო პროცესი, როგორც მოსალოდნელი იყო, დახურულ რეჟიმში წარიმართა. ადვოკატის განმარტებით, სხდომა ბრალდებულის მოთხოვნის საფუძველზე დაიხურა. მისივე თქმით, ამ ეტაპზე დაკავებული დუმილის უფლებას იყენებს.

— ეს ბრალდებულის ინტერესებიდან გამომდინარე და მისი თხოვნის საფუძველზე ხდება. არ არის საქართველოს მოქალაქე, არის რუსეთის მოქალაქე. მტკიცებულებები არ არის, ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი არ აღიარებს დანაშაულს. იგი დუმილის უფლებას იყენებს ამ ეტაპზე.

მისი განცხადებით, არანაირი შეხება არ აქვს ტერორისტულ ორგანიზაციასთან. ეს პიროვნება არის დაკავებული მანამდე, მოშორებით იმ ადგილიდან, სადაც მოხდა ეს ამბავი, — განაცხადა სასამართლოს დაწყებამდე მედიასთან საუბარში ქარქაშაძემ.

მოსამართლე რომან ხორავამ დაცვის მხარის შუამდგომლობა დააკმაყოფილა და სასამართლო სხდომა დაიხურა.

საბოლოოდ, მოსამართლემ ტერორიზმში ბრალდებულ რუსეთის მოქალაქეს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას დაცვის მხარე სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრებს.

— დაცვის მხარე ვითხოვდით ბრალდებულის აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვებას. ბრალდებული დუმილის უფლებას იყენებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ის არ ცნობს თავს დამნაშავედ. 24 ნოემბრის გადაწყვეტილებას სააპელაციო წესით გავასაჩივრებთ, — ამბობს ადვოკატი.



**მას ბრალად ედება უცხო ქვეყნის ტერორისტულ ორგანიზაციაში გაერთიანება, ცეცხლსასროლი იარაღის და ფეთქებადი ნივთიერების უკანონო შეძენა, შენახვა და ტარება**

## ადვოკატი განაჩენს სააპელაციოში გაასაჩივრებს

დანარჩენ დეტალებზე საუბრისგან იმედა ქარქაშაძემ თავი შეიკავა. მედიასთან კომენტარი გააკეთა საქმის პროკურორმა ირაკლი მარშანიამაც. თუმცა არც მას დაუკონკრეტებია რამე.

მისი თქმით, მოცემულ ეტაპზე ლიკვიდირებული პირების ვინაობა გამომძიებისთვის უცნობია, რადგან მათი ცხედრების იდენტიფიცირება არ მომხდარა.

24 ნოემბერს საქართველოს მთავარმა პროკურატურამ ექვმიტანილის შესახებ განცხადება გაავრცელა.

მისი ინფორმაციით, ანტიტერორისტული სპეცოპერაციისას დაკავებული პირი, სამ ტერორისტთან ერთად, გაბრიელ სალოსის ქუჩაზე ცხოვრობდა.

როგორც პროკურატურის განცხადებაშია ნათქვამი, ს.დ.-ს დაკავებისას მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილი ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო ვაზნები აღმოაჩნდა.

საქართველოს მთავარმა პროკურატურამ უცხო ქვეყნის ტერორისტულ ორგანიზაციაში გაერთიანებისა და ტერორისტულ საქმიანობაში მისი დახმარების, ასევე ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერებისა და ასაფეთქებელი მოწყობილობის ტერორისტული მიზნით მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარებისთვის ს.დ.-ს ბრალი წარუდგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 3231-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 328-ე მუხლით.

გამოძიებით დადგინდა, რომ ს.დ. სამ თანამზრახველთან ერთად ქ.თბილისში ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთ საცხოვრებელ ბინაში დაბინავდა, სადაც ის და მისი თანამზრახველები მართლსაწინააღმდეგოდ, ტერორისტული მიზნით შეძენილ დიდი რაოდენობით ფეთქებად ნივთიერებებს, საბრძოლო მასალას, ასაფეთქებელ მოწყობილობებს და ცეცხლსასროლ იარაღს ინახავდნენ.

სამართალდამცველებმა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ს.დ. ქ.თბილისში, 2017 წლის 21 ნოემბერს დააკავეს. დაკავებისას მას მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილი ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო ვაზნები აღმოაჩნდა", — ნათქვამია პროკურატურის ინფორმაციაში.

მისივე ცნობით, ს.დ.-ს წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 3231-ე მუხლის პირველი ნაწილით (ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერებისა და ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, ტერორისტული მიზნით) და 328-ე მუხლით (უცხო ქვეყნის ტერორისტულ ორგანიზაციაში გაერთიანება და ტერორისტულ საქმიანობაში მისი დახმარება), რაც სასჯელის სახედ და ზომად 10-დან 17 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

* * *

დაკავებულის და ლიკვიდირებულის ვინაობის გასაიდუმლოება ეჭვებს იწვევს. კითხვები საქართველოს ფარგლებს გარეთაც გაჩნდა. ეჭვებშია ჩავარდნილი ალ ჯაზირაც.

გამოცემის შეფასებით, ოფიციალური პირების მიერ დაღუპულების ვინაობის დამალვა სპეკულაციის საგანი გახდა.

ალ-ჯაზირას შეფასებით, ქართული მედია განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებდა იმ ფაქტზე, რომ ბინა, სადაც დანაშაულებრივი ჯგუფი იმყოფებოდა, ეკუთვნოდა ეთნიკურად ჩეჩენს. ამან ეჭვი გააჩინა, რომ საქმეში ჩეჩნები არიან ჩარეული.

— ჯერ კიდევ უცნობია, ვინ იყვნენ დამნაშავეები, მაგრამ ეს შემთხვევა უხეშად დაუკავშირეს პანკისს. გამოძიებამ რომ გაარკვიოს, რომ ისინი არ იყვნენ პანკისიდან, საზოგადოების დამოკიდებულება ისევ ნეგატიური დარჩება. სოციალურ მედიაში ხალხმა ეთნიკურ ჩეჩნებზე თავდასხმა დაიწყო. „ისინი უნდა გაყარონ", „უნდა მოკლან", ასეთი მესიჯები ვრცელდებოდა სოციალურ მედიაში სხვადასხვა პროფილებიდან. ეს საშინელი ამბავია, — განუცხადა ალ-ჯაზირას სატელეფონო ინტერვიუში პანკისის ხეობის მკვიდრმა, ეთნიკურად ჩეჩენმა სულთან ბორძიკაშვილმა.

ალ ჯაზირამ სტატიაში ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, გიორგი კვირიკაშვილმა უარი თქვა, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრების ეროვნების დასახელებისგან და იმით ახსნა, რომ ამას მნიშვნელობა არ აქვს.

* * *

24 ნოემბერს გვიან საღამოს ქართულ მედიაში გამოჩნდა ინფორმაცია დაკავებული ს.დ.-ს შესახებ.

„პირველი რადიოს" ინფორმაციით, ის ჩატაევის დაცვის წევრი სურხო დუდაევია.

ის, რომ სურხო დუდაევი ჩატაევის დაჯგუფებისა და მისი დაცვის



წევრია, „ნიუპოსტს" რამდენიმე სხვადასხვა წყარომაც დაუდასტურა.

დუდაევი ფიგურირებდა 2012 წელს, ლოპოტას სპეცოპერაციის დროსაც. ზელიმხან ხანგოშვილი, რომელიც მაშინ შეიარაღებულ დაჯგუფებასთან მოსალაპარაკებლად მიიყვანეს, იხსენებდა, რომ იქ ნახა 5-6 ადამიანი, რომელთაგან ორი იცნო — სურხო დუდაევი, რომელსაც თბილისში ადრეც შეხვედრია და ინგუში ასლანი.

# ჯუმბერ თავართქილაძე: „ბათუმის ღამის კლუბები ბორდელებადაა ქცეული"

გულიკო ბალაძე

საქართველოს ერთიანობის კავშირის თავმჯდომარე ჯუმბერ თავართქილაძე „ახალ თაობასთან" ბათუმიდან აფასებს თბილისში განვითარებულ მოვლენებს და აღგვიწერს ბათუმში არსებულ ვითარებას.

***— ბატონო ჯუმბერ, როგორ ჩანდა თბილისში მიმდინარე პროცესები ბათუმიდან? ვგულისხმობ უცხო ქვეყნის მოქალაქეების წინააღმდეგ ჩატარებულ სპეცოპერაციას. მათ ისლამურ სახელმწიფოსთან აკავშირებენ.***

— პირველ რიგში, მინდა მივუსამძიმრო გარდაცვლილის ოჯახს. ვიზიარებ მათი ოჯახის ამ დიდ ტკივილს. მადლობა თითოეულ იმ სამხედრო მოსამსახურეს, ვინც მიიღო ამ ოპერაციაში მონაწილეობა. მათ იმოქმედეს პროფესიონალურად. ისინი ქების ღირსი არიან, მაგრამ ვინც სპეცოპერაცია დაგეგმა, ეტყობა, არაპროფესიონალები არიან. არცაა გასაკვირი, ბანკირები და ფინანსისტები ოპერაციას უკეთესად ვერ დაგეგმავენ. ეს კარგი გაკვეთილია ხელისუფლებისთვის. მოვუწოდებ ხელისუფლებას, მოაცილოს ძალოვან სტრუქტურებს არაპროფესიონალი მმართველები. ვგულისხმობ, მინისტრებს და იმ რგოლის ხელმძღვანელებს, ვინც გადაწყვეტილებებს ღებულობენ.

იმ პირების ტერორისტულ ორგანიზაციასთან დაკავშირება რთულია. ჩვენ არ ვიცით მათი სახელები და გვარები, ვინ იყვნენ, რას მოღვაწეობდნენ. ხელისუფლების მხრიდან ასეთი გასაიდუმლოება ბევრ კითხვებს ბადებს. მე პირადად, სანამ იმ 4 პიროვნების სახელი და გვარი არ ვიცი, ასე ხელაღებით ვერავის ვერაფერში დავადანაშაულებ. ჩვენ კარგად გვახსოვს, ახალაიების მიერ ჩატარებული ოპერაცია, უდანაშაულო ზემო აჭარელი ბიჭები რომ ჩაცხრილეს. მაშინ სააკაშვილის ხელისუფლება გვარწმუნებდა, რომ ის ბიჭები ტერორისტები იყვნენ.

ასევე გავიხსენოთ ლაფანყურის ოპერაცია. ამ გაკვეთილებიდან გამომდინარე, მათ ვერავისთან დავაკავშირებ. ხელისუფლება ვალდებულია დროულად გაასაჯაროოს იმ პირთა ვინაობა, საზოგადოებამ სწორი დასკვნები რომ გააკეთოს. არავის უნახავს, იქ უცხო ქვეყნის მოქალაქეებია თუ არა.

***— გასაიდუმლოებას რატომ უსვამ ხაზს?***

— ხელისუფლებიდან ასეთი გასაიდუმლოება ბევრ კითხვებს აჩენს. ვერ დავეთანხმები იმ მოსაზრებას, რომ არ ხმაურდება გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე. გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე მაშინ არ ხმოვანდება, როცა რაიმე ფარულ ოპერაციას ატარებ და არ ახმაურებ, თანამზრახველებმა ინფორმაცია რომ არ მიიღონ. აქ დასამალი არაფერია. თუ მათ სადმე თანამზრახველები ჰყავდათ, პირდაპირ ეთერში ნახავდნენ, რაც მოხდა. აქ გამოძიების ინტერესები არაა, უფრო რაღაც სხვაა, რომელიც მომავალში გახდება ცნობილი.

***— როგორ იყვნენ შეიარაღებულები, ხომ ნახეთ. აქ ამბობენ, რომ ჩეჩნები იყვნენ.***

— ოფიციალური განცხადება გაკეთდა პროკურატურის მხრიდან, რომ ჩეჩნები იყვნენ? მე არ მომისმენია. რაც შეეხება საველე მეთაურ ახმედს, თუ საველე მეთაური იყო უშუალოდ იქ, ამ შემთხვევაში, პირველ რიგში, მთავრობა უნდა გადადგეს დაბალი რგოლების ჩათვლით.

***— რატომ?***

— რადგანაც მსოფლიოს მიერ აღიარებული ტერორისტი შემოდის შენს ქვეყანაში ასე იოლად და იარაღდება. ამის გამო მთავრობა უნდა გადადგეს საშუალო რგოლის ჩათვლით. იცით საველე მეთაურის ახმედ ჩატაევის იქ ყოფნა რას ნიშნავს?

***— რას ნიშნავს?***

— იმას ნიშნავს, რომ დოყლაპია, არაფრისმქმნელი და არაკომპეტენტური ხელისუფლება გვყავს და ყველანი დაუცველი ვართ. თუმცა, ზოგადად, გამოვრიცხავ მის აქ ყოფნას. არ გამოვრიცხავ მისი ხელმძღვანელობით შეკრებილიყო ეს ჯგუფი. მისი აქ ყოფნის თეორიული შანსი არის, მაგრამ პრაქტიკულ შანს ვერ ვხედავ, მისი ფიზიკური მდგომარეობიდან გამომდინარე. ის ავსტრიიდან ვერ მოხვდებოდა საქართველოში, თუ რუსეთის სპეცსამსახურებმა არ ჩამოიყვანეს.

***— ჩატაევის აქ ყოფნაზე და სპე-***




***ცოპერაციის დროს მის მოკვლაზე თურქული პრესა წერდა.***

— პრესა, როგორც წესი, ეძებს სკანდალს. ახმედ ჩატაევი სტამბოლის აეროპორტის აფეთქების ორგანიზებაშია დადანაშაულებული. თურქეთის პრესის ამგვარი აზრის გავრცელება ემსახურება ერთი მხრივ მათი მოქალაქეების დამშვიდებას, მეორე მხრივ, სიხარულს იმისას, რომ ერთ-ერთი ცნობილი ტერორისტის ლიკვიდაცია მოხდა. თურქეთი დაღლილია ამ ტერორისტული აქტებით.

***— ბათუმთან დაკავშირებით მინდა გკითხოთ, რა გავლენა იქონია ერდოღანისა და გიულენის დაპირისპირებამ ბათუმზე?***

— ვფიქრობ, მათი დაპირისპირება ბათუმზე არ ასახულა და არც აისახება, რადგან ბათუმში მოღვაწე ბიზნესმენები არ იყვნენ დაყოფილი გიულენისა და ერდოღანის მომხრეებად. ამიტომ მათი დაპირისპირება ვერ და არ ასახულა, არც არანაირი გავლენა არ მოუხდენია მათ დაპირისპირებას ბათუმზე. ასეც უნდა ყოფილიყო.

***— თვითონ გიულენის მოღვაწეობამ თუ მოახდინა გავლენა ბათუმსა და, საერთოდ, საქართველოს მუსლიმან მოსახლეობაზე?***

— რომ არა გიულენისა და ერდოღანის დაპირისპირება, არავის გვეცოდინებოდა, ვერ გავიგებდით გიულენის მოღვაწეობის შესახებ. ჩვენი მეზობელი ქვეყნის (სპეცსამსახურების დავალებით) ბიზნესმენების სახით, გარკვეული და საკმაოდ კარგი ფინანსები შემოდიოდა და შემოდის. დარწმუნებული ვარ, საქართველოს მოსახლეობის 70%-ისთვის ცნობილია. ეს თანხები ხმარდება ჩვენი ქვეყნის მუსლიმ მრევლს. მათ შექმნეს სკოლები, სადაც სწავლობენ ქართულად, ქართული კანონმდებლობით. ამავე დროს დამატებით ეცნობიან ყურანს და მუსლიმანური რჯულის თეორიას. როგორც ჩემთვის ცნობილია, ამ კუთხითაც არაფერი შეცვლილა. არც არაფერი შეიცვლება, რადგან ეს თურქეთის სახელმწიფო პოლიტიკაა და არა რომელიმე პიროვნების.

ფინანსების შემოდინებაც არაა დამოკიდებული გიულენზე, რადგან ეს თურქეთის სახელმწიფო პოლიტიკაა. სხვათა შორის, გიულენის მარჯვენა ხელს საქართველოს ხელისუფლებამ საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭა და ესაა „მეტრო სიტის" მფლობელი გალიფ ოზთურქი.

***— თბილისში ზოგიერთისაგან მსმენია, თითქოს, გიულენი დემოკრატი იყო. თუ შეიძლება მუსლიმანური სარწმუნოება დემოკრატიასთან რამენაირად ახლოს იყოს, ამდენად გიულენიც უფრო რბილი მუსლიმანობის მქადაგებელი იყოო. თუმცა, ჩვენთვის რა მნიშვნელობა აქვს, მუსლიმანობა, მუსლიმანობაა.***

— ზოგადად დემოკრატია ფართო ცნებაა. არასწორი იქნება თუ ჩვენ დავაკავშირებთ სარწმუნეობასთან. არ ვარ თეოლოგი, კომპეტენტური პასუხი რომ გავცეთ, მაგრამ დავძენ, მუსლიმანური სარწმუნოება არის მუსლიმანური სარწმუნოება, რბილი და მკაცრი მუსლიმანური სარწმუნოება ვერ იქნება, როგორც ვერ იქნება მართლმადიდებლობა რბილი და მკაცრი.

***— ჩვენს სახელმწიფოს პრობლემა შეექმნა, თუმცა, ბოლო დროს შეწყდა მუსლიმანთა ამბოხებები სხვადასხვა კუთხეში, სხვადასხვა ფორმით და მოთხოვნებით, რაც, ვფიქრობ, სხვადასხვა ქვეყნების სპეცსამსახურების გავლენებისა და უცხო ქვეყნებიდან მიზანმიმართულად შემოსული ფულის შედეგი იყო. თქვენ როგორ ფიქრობთ?***

— 2012 წლიდან საქართველოში სტაბილურობაა. უნდა ვაღიაროთ, რომ ეს არის საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების სწორი საგარეო პოლიტიკის დამსახურება. სადაც სწორი საგარეო პოლიტიკაა, იქ სიმშვიდეა. ბევრი კითხვები მაქვს ამ ხელისუფლებასთან, მაგრამ არა საგარეო კუთხით. სანამ სწორი საგარეო პოლიტიკა იქნება გატარებული ხელისუფლების მხრიდან, მანამ სიმშვიდე იქნება საქართველოში.

***— ხშირად გაიგონებ, რომ ბათუმში თურქების შემოსევაა, იმდენია ჩამოსულიო. პრობლემას უფრო მუსლიმანური სასწავლებლები ხომ არ ქმნის, სადაც სწავლობენ ქართველი მცირეწლოვანი ბავშვები და ეჩვევიან, თუნდაც იგივე ჩადრით სიარულს და იმგვარ წეს-ჩვეულებებს, რომელიც ქართული წეს-ჩვეულებებისაგან შორსაა. თქვენ რას გრძნობთ?***

— არ ვიცი, თურქების შემოსევა რას ნიშნავს. ჩვენს რეგიონში მეტი ვიზიტორია მეზობელი ქვეყნიდან. ეს არაა გასაკვირი. ჩვენ საზღვრისპირა რეგიონი ვართ. თუმცა, გეთანხმებით, რომ პრაქტიკულად, ყველა ღამის კლუბი თურქ მოქალაქეებს გააჩნიათ. ეს ღამის კლუბები სინამდვილეში არაოფიციალური ბორდელებია. ამავე დროს ისინი არიან ოფიციალური რეკეტიორები, სადაც ერთ შამპანურში და ერთ წვენში 800 ევროს ახდევინებენ.

***— 800 ევროს?***

— კი, ასეა, მაგრამ სადაა სახელმწიფო? სადაა პოლიცია? სადაა ქვეყნის ინსტიტუტები? რატომაა ასე მიშვებული ყველაფერი? ერთ ისტორიას გავიხსენებ. ქალაქ ბათუმში, პუშკინის ქუჩაზე არსებობს ღამის კლუბი, სადაც არაოფიციალური ბორდელია. ერთხელ ერთ-ერთმა ნაცნობმა გვიან ღამით დამირეკა და მთხოვა დახმარება. ვკითხე, რაში იყო საქმე. მან ამიხსნა, რომ ერთ წვენში და ერთ შამპანურში თავის

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# ანზორ აბრალავა: „ჩვენი სტატისტიკა გაეროს მონაცემებს არ ემთხვევა“

## „მშენებლობის სფერო სერიოზულად არის მისახედი“

მარიამ მჭედლიშვილი

**„ახალი თაობა" ესაუბრა ყოფილ დეპუტატს, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორ ანზორ აბრალავას**



*— ბოლო ათი თვის განმავლობაში საქართველოში გადახდისუუნარო მოსახლეობის რაოდენობამ 23,5%-ით მოიმატა. უფრო მეტ ადამიანს ემუქრება ბინებიდან გამოსახლება ვალების გამო. ესეც იმის მაჩვენებელია, რომ ხალხის სოციალური მდგომარეობა გაუარესდა?*

— ბუნებრივია. ლარის დევალვაციით მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა ვერ გაუმჯობესდებოდა. დოლარში შემოსავალი მცირე ნაწილს აქვს. ბოლო დროს სხვა ტენდენციებიც გამოიკვეთა — ესაა მოსახლეობის გადინება ევროპაში ვიზალიბერალიზაციის შემოღების შემდეგ. ადამიანები ევროპაში უკეთეს სამუშაოს ეძებენ.

*— მათი ნაწილი იქ არალეგალურად რჩება.*

— ასეთებიც არიან. ზოგადად, ძალიან დაძაბულია სიტუაცია. შიდა პრობლემების გარდა, მოქალაქეებს უსაფრთხოების პრობლემაც აწუხებთ. ჩვენ გარშემო სულ უფრო მძიმე ფონი იქმნება. გამეფდა უიმედობა.

*— მოსალოდნელია გაზისა და დენის გაძვირება.*

— ლარის დევალვაციამ ესეც გამოიწვია. უნდა ითქვას, რომ გაზი და ნავთობი შემოსავლის ... დულ რესურსებს მიეკუთვნება. თუ მათი ალტერნატივა არ გამოინახა, ამ ენერგომატარებლების ფასი სულ გაიზრდება. სამწუხაროდ, საქართველოს ეკონომიკა მწარმოებლური არ არის. ჩვენ იმპორტ-ექსპორტზე ვართ დამოკიდებული და არა წარმოებაზე. ეს ართულებს მდგომარეობას. წარმოება პოზიტიურად იმოქმედებდა ლარის კურსსა და დასაქმებაზე.

*— დასაქმება ახსენეთ და ცხადდება, რომ საქართველოში მინიმალური ხელფასი 500 დოლარის ეკვივალენტია. როცა ამაზე უკრაინაში სააკაშვილი საუბრობდა, ამას მის მორიგ ტყუილს მიაწერდნენ. დღეს იმავეს გვიმტკიცებს „ქართული ოცნება“. სინამდვილეში, ძალიან ბევრი ადამიანის ხელფასი ამაზე ხუთჯერ და ექვსჯერ ნაკლებია.*

— სტატისტიკა ცალკე პრობლემად გადაგვექცა. გაეროს ოფისიდან ბევრჯერ ამიღია მონაცემები-მოხსენებები ადამიანის განვითარების შესახებ. გაეროს სტატისტიკა არ ემთხვეოდა ჩვენს ადგილობრივ ციფრებს.

*— ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს, როცა ადგილობრივი სტატისტიკა გვარწმუნებს, რომ მინიმალური ხელფასი 500 დოლარია?*

— ასე გამოდის. კერძო სექტორი ქვეყანაში მძიმე დღეშია. არავინ კითხულობს, რამდენია აქ მინიმალური ხელფასი, უწევს თუ არა დასაქმებულს მავნე ან არანორმირებული სამუშაოს შესრულება და სხვა. კერძო საქმიანობა თავისუფალია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სახელმწიფო არაფერში ჩაერიოს. დასაქმებულების პირობებზე, ხელფასის მინიმალური რაოდენობის დადგენაზე ხელისუფლება უნდა ზრუნავდეს.

*— მთავრობის რეორგანიზაციის საკითხი ისევ აქტუალურია. არ ვიცით, იზოგება თუ არა ამით თანხები.*

— სრულყოფა და რეფორმა კარგია. მთავარი მიზანი უნდა იყოს ეფექტიანობა. შეიძლება ხარჯები არ შეამციროს, მაგრამ ეფექტიანობას მიაღწიო. ისეთი ქაოსი გვაქვს მშენებლობაში, რომ დგება მშენებლობის სამინისტროს აუცილებლობის საკითხი. რას ჰგავს თბილისი! დედაქალაქი ზოოპარკს დაამსგავსეს უაზრო მიშენებებითა და მახინჯი კონსტრუქციების წამოჭიმვით. მშენებლობის ხარისხი შიგნიდანაც კრიტიკას ვერ უძლებს. არქიტექტურის სამსახური მეოცე საუკუნის 40-იანი წლების მეთოდებით მუშაობს. იქ კორუფციული სქემები აშკარაა. რომელი საბჭო დაამტკიცებდა იმ მშენებლობებს, რომლებიც უკვე შესრულდა? რომი, პარიზი, ლონდონი და სხვა ქალაქები რომ მოგვწონს, მათი გამოცდილება გადმოვიღოთ, მოვიწვიოთ ევროპელი სპეციალისტები, ინვესტორებს მოვუხსნათ ბარიერები და მივხედოთ დანგრეულ-დამახინჯებულ ქალაქს! ბეტონის შესხმის მეთოდოლოგიას ვერ გავცდით, ლიფტებში მგზავრობის საფასურს რკინის ყუთებში ვყრით. დედაქალაქის გენგეგმაც სასწრაფოდ დასამტკიცებელია.

*— რეორგანიზაციას დავუბრუნდეთ. ამ თემაზე კითხვა ბევრია.*

— ჯერ არ ვიცით, რა რისთვის ხდება. მისმა ავტორებმა ეს უნდა წარმოგვიდგინონ. კითხვებს მიჩენს ინფრასტრუქტურის სამინისტრო. აქ წყალი, გაზი და კიდევ უამრავი სფერო ერთადაა თავმოყრილი. ეს უწყება იმეორებს ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ფუნქციებს და მონსტრადაა გადაქცეული. ადგილობრივ თვითმმართველობებში ბოლო დროს უარესი და უარესი ამბები ტრიალებს.

*— რას გულისხმობთ?*

— მმართველი პარტია და ოპოზიცია საკრებულოებში უცნაურად იქცევა. არის სკამებზე სირბილი და ჯოხების ტრიალი. ეს პოლიტიკური უკულტურობის ბრალია. ზოგმა კარგი სახელი — „ევროპული საქართველო“ დაირქვა, მაგრამ ევროპასთან, დემოკრატიასთან და კულტურასთან შეხება არა აქვს. ბოკერია რომელი ევროპული ფასეულობების დამამკვიდრებელია? არც ის ტელევიზიები არიან ევროპული ღირებულებების გამავრცელებლები, რომლებიც კულტურას ებრძვიან. პროსტიტუციას, ნარკომანიასა და კრიმინალს რომ გაუწევ პროპაგანდას, ესაა ევროპელობა? ასეთი რამ ევროპაში არ ხდება. ევროპაში ცდილობენ, ბავშვები მავნე ზეგავლენისაგან დაიხსნან.

# უცხოეთიდან საქართველოს მოქალაქეების გადმოსვენებისთვის მილიონ-ნახევარი ლარი გამოიყო

მიმდინარე წელს საგარეო საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტი 5 მილიონი ლარით იზრდება, საიდანაც მილიონ-ნახევარი ლარით უცხოეთიდან საქართველოს მოქალაქეების გადმოსვენების ხარჯები დაფინანსდება.



ამის შესახებ ფინანსთა მინისტრის მოადგილე გიორგი კაკაურიძემ ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის სხდომაზე განაცხადა, სადაც 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ცვლილებების საკითხს განიხილავენ.

— საგარეო საქმეთა სამინისტროს შემთხვევაში მატებაა 5 მილიონი ლარით. ეს გამოწვეულია ორი მიზეზით — ერთია ის დანაკლისი, რომელიც წელს აქვს სამინისტროს, რაც გამოწვეულია ერთი მნიშვნელოვანი გარემოებით. მოგეხსენებათ, გასული წლის მეორე ნახევრიდან სამინისტრომ დაიწყო უცხო ქვეყანაში გარდაცვლილი საქართველოს მოქალაქეების გადმოსვენების ხარჯების დაფინანსება. წელს ბიუჯეტში გათვალისწინებული გვქონდა დაახლოებით 1 მილიონი ლარი ამ მიმართულებით, თუმცა ფაქტობრივი დანახარჯები ამ მდგომარეობით 2,5 მლნ ლარზე მეტია, შესაბამისად, ხარჯების დაფინანსებამ სამინისტროს ბიუჯეტში გარკვეული დანაკლისი წარმოქმნა და შესაბამისად, დაახლოებით, მილიონ-ნახევარი ლარია საჭირო, რათა წლევანდელი დაგეგმილი ხარჯები მთლიანად შეასრულონ, ხოლო დანარჩენი თანხა მიემართება სხვადასხვა ქვეყანაში შენობის იჯარის ღირებულების ანაზღაურებისთვის, ვინაიდან რამდენიმე ქვეყანაში მოლაპარაკებები მიმდინარეობს შენობის მფლობელ კომპანიებთან, რომ თუ ჩვენ წინმსწრებად გადავიხდით თანხას, შესაძლებელი იქნება, გარკვეული ფასდაკლება მოხდეს და ასეთ შემთხვევაში იჯარის ნაკლები თანხის გადახდა მოგვიწევს.

ასე ხდება წლების განმავლობაში. რამდენიმე ქვეყანაში წინა წელს ხდება ხოლმე იჯარის თანხის ანაზღაურება და წელსაც დაახლოებით 3.5 მილიონი ლარი მიემართება ამ მიმართულებით, — განაცხადა კაკაურიძემ.

მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები 305.0 მლნ ლარით იზრდება და 11.720.5 მლნ ლარით განისაზღვრება.

# საქართველოში ელექტროავტობუსების წარმოების დასაწყებად 5 მილიონის ინვესტიცია ჩაიდება




საქართველოში ელექტროავტობუსების წარმოება დაიწყება.

პროექტის განხორციელებას ქართული ფრეგობასი გერმანელ და ჩინელ პარტნიორებთან ერთად გეგმავს. ერთობლივი კორპორაციის დაფუძნებაზე მემორანდუმი უკვე გაფორმდა.

ქართული კომპანიის მენეჯმენტი აცხადებს, რომ პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება მიმდინარეობს და, ოპტიმისტური გათვლებით, ისინი 1.5 წელიწადში პირველი პარტიის გამოშვებას ელიან.

ელექტროავტობუსები განკუთვნილი იქნება როგორც ადგილობრივი ბაზრისთვის, ასევე რეგიონისა და ევროპის ქვეყნებისთვის.

საწარმო რუსთავის ახლოს უნდა განთავსდეს და მასში 5 მილიონის ინვესტიცია ჩაიდება.

ელექტროავტობუსი 1 დამუხტვით 500 კმ მანძილის გავლას შეძლებს.

# „ქართულმა ოცნებამ“ სახალხო დამცველის პოსტზე ნინო ლომჯარია წარადგინა

— საპარლამენტო უმრავლესობა სახალხო დამცველის პოსტზე ნინო ლომჯარიას კანდიდატურას ასახელებს.

ამის შესახებ 24 ნოემბერს გვიან საღამოს ჟურნალისტებს პარლამენტის თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ, „ქართული ოცნების“ ოფისში უმრავლესობის შეხვედრის შემდეგ განუცხადა.

მისი თქმით, შეხვედრაზე სულ 7 კანდიდატზე იყო საუბარი, თუმცა, კონკრეტული გვარები არ დაასახელა.

— მათ შორის განიხილებოდა ის კანდიდატები, რომლებიც შემოთავაზებული იყო არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების მხრიდან. საბოლოოდ ჩვენ შევჯერდით გადაწყვეტილებაზე — საპარლამენტო უმრავლესობის მხრიდან დასახელებული იქნება ნინო ლომჯარიას კანდიდატურა. გავითვალისწინეთ არასამთავრობოებთან კონსულტაციები, ასევე, გამოცდილება, მიუკერძოებლობის კრიტერიუმი, კვალიფიკაცია, — განაცხადა კობახიძემ.






## კვებით უზრუნველყოფის მომსახურების პროვაიდერთა მოწვევა

BP Exploration (Caspian Sea) Ltd - საქართველო იწვევს შესაფერის კომპანიებს ინტერესის გამოსახატად BP-ის თბილისის ოფისის კვებით უზრუნველყოფის მომსახურების გაწევაში. ქვემოთ მოცემულია ფასების შეთავაზების ელემენტების ზოგადი მიმოხილვა:

- კვებით უზრუნველყოფა – ცხელი ლანჩი (200-250 პორცია დღეში) და შეფუთული ლანჩი (10-15 პორცია დღეში, საღამოობით)
- წყლის მოწოდების უზრუნველყოფა
- მესამე მხარეებისგან შესყიდვა, მაგ. დანა-ჩანგლის, თეფშების და სამზარეულო ტექნიკისა, ოფისის სასადილოსთვის
- სასმელის პუნქტებით უზრუნველყოფა დაახლოებით 250 თანამშრომელზე, ჩაის ჩამომსხმელი ქალბატონების მიერ მომსახურების გაწევის ჩათვლით
- BP-ის ოფისისთვის საკვები უნდა მომზადდეს ფასის წარმდგენის შენობაში და მოხდეს ტრანსპორტირება იზოლირებული სატრანსპორტო საშუალებით, ჰიგიენის წესების და შესაბამისი ტემპერატურული რეჟიმის დაცვით

დაინტერესებულმა კომპანიებმა უნდა მოგვაწოდონ საკონტაქტო ინფორმაცია: კომპანიის დასახელება, მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელ-ფოსტის მისამართი და საკონტაქტო პირის სახელი და გვარი შემდეგ ელ-ფოსტაზე: lomam0@bp.com ან კომპანიის ოფისში მისამართზე: თბილისი, სულხან ცინცაძის 24, მაკა ლომაძეს, PSCM კატეგორიის სპეციალისტს.

წარდგენის ვადა: 2017 წლის 1 დეკემბერი.


# ჯუმბერ თავართქილაძე: „ბათუმის ღამის კლუბები ბორდელებადაა ქცეული“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

იტალიელ სტუმარს 800 ევროს სთხოვდნენ.

*— თქვენ რა გააკეთეთ?*

— დავრეკე. აღარ დავაკონკრეტებ რომელ პოლიციაში. ვთხოვე გაერკვიათ, რა ხდებოდა. როცა მივიდნენ, იტალიელ სტუმარს განუცხადეს, გადაიხადეთ და წამოდით, განცხადება დაწერეთ, თუ კრიმინალი იქნება, დავსჯითო. ადამიანო, 2100 ლარი რომ პუშკინის ქუჩაზე ბორდელში არ იქნება, ეს არ უნდა იცოდეს პოლიციელმა?!

*— ეს რას ნიშნავს?*

— ეს ნიშნავს იმას, რომ დღეს პოლიციის სისტემა დაშლილია. რაც შეეხება სკოლებს, სკოლები კი იხსნება. იქ მიდიან და სწავლობენ, მაგრამ ჯერ ვიკითხოთ, რატომ მიდიან იქ სასწავლებლად? იმიტომ, რომ უფასოა, წესრიგია. თუმცა, ამ თურქულ სკოლებშიც ქართველი მასწავლებლები ასწავლიან. ამიტომ ვერ ვხედავ ამაში ვერაფერს საშიშს. თუ ჩვენ რაიმე არ მოგვწონს, ჩვენს მოქალაქეებს უკეთესი შევთავაზოთ. ჩვენს არაქმედითუნარიანობას სხვას ნუ დავაბრალებთ. პირს ის უნდა სცოდნოდა, 2100 ლარიანი შამპანური რომ არ იქნებოდა.

# მომავალი წლიდან ბინები შეიძლება გაძვირდეს

2017 წელი საქართველოში სავალუტო კრიზისით სრულდება.

ეს პროცესი ყველა სფეროზე უარყოფითად აისახება და გამონაკლისს არც უძრავი ქონების ბაზარი წარმოადგენს. როგორც უძრავი ქონების სააგენტო „თბილისი სერვისის“ ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა თამარ ბარბაქაძემ გვითხრა, ვითარება ამ ბიზნესში არასახარბიელოა – მოსახლეობა ბინის შეძენისგან თავს იკავებს და პროცესების განვითარებას ელოდება.



**თამარ ბარბაქაძე:**

– ჩვენ ძირითადად აშენებულ, ძველ ბინებს ვყიდით, რომელთაც კერძო მეპატრონე ჰყავს. ეროვნული ვალუტის გაუფასურებამ ჩვენს ბიზნესზე კატასტროფულად იმოქმედა. მოსახლეობას შემოსავალი

ძირითადად ლარში აქვს, ბინების ფასს კი რეალურად დოლარი განსაზღვრავს, ოღონდ, იყიდება დოლარის ეკვივალენტით ლარში. დოლარი ყოველდღიურად ძვირდება და ბინის მეპატრონეები ფასებს კიდევ უფრო ზრდიან.

ამის გამო ბინები ყველას ეძვირება და ბოლო თვეებში რეალიზაცია ძალიან შეგვიმცირდა. განსაკუთრებით გართულდა ჩვენი საქმიანობა ბოლო ორი თვის განმავლობაში – მას შემდეგ, რაც ლარის კურსი დაეცა.

თამარ ბარბაქაძის თქმით, ლარის დევალვაცია ყველაზე ცუდად ბინების გაქირავებაზე აისახა:

– ბინების გაქირავება ერთ წერტილზე გაიყინა – თუ ადრე დღეში 20-30-მდე კლიენტი მაინც გვყავდა, ახლა ბინის დაქირავების მსურველთა რიცხვი 70%-ით შემცირდა. დღეში 4-5-მა კლიენტმა თუ მოგვმართა, ისიც დიდი მიღწევაა. ბინებს საკმაოდ ხშირად ქირაობდნენ უცხოელები. ახლა კი ისინი ერთწლიან კონტრაქტებს აფორმებენ და საქართველოდან რამდენიმე თვეში გარბიან.

ასე იქცევიან არა მარტო აზიური ქვეყნებიდან ჩამოსულები, არამედ რუსები, უკრაინელები და დსთ-ის ქვეყნების მოქალაქეებიც. მათი წასვლის შემდეგ ჩვენთან მოდის გაწბილებული მეპატრონე, რომელმაც ბინა ერთი წლით გააქირავა, მაგრამ მდგმურისგან მხოლოდ რამდენიმე თვის გადასახადი მიიღო. ხშირად ესეც ჩვენი თავშისახლელი ხდება: ისე უნდა მოვახერხოთ, რომ ჩვენი კლიენტები არ დაზარალდნენ და საბოლოო ჯამში დაზარალებული ჩვენ ვრჩებით. დღევანდელ სიტუაციაში უძრავი ქონების სააგენტოები სრულიად დაუცველები არიან, – აცხადებს „თბილისი სერვისის“ ხელმძღვანელი.

ლარის გაუფასურებამ პრობლემები სამშენებლო კომპანიებსაც შეუქმნა. როგორც სამშენებლო სექტორის წარმომადგენლები ამბობენ, სავალუტო კრიზისმა ხალხი შეაშინა და ახლადაშენებული ბინების რეალიზაციამაც იკლო.

ზვიად დარახველიძე, სამშენებლო კომპანია „მონოლით ჯგუფის“ ხელმძღვანელი:

– ბოლო თვეებში მშენებარე ბინების რეალიზაცია მნიშვნელოვნად შემცირდა. მიუხედავად იმისა, რომ სამშენებლო მასალები გაძვირდა და მშენებლობაც გაგვიძვირდა, ფასებს ვერ ვზრდით, რადგან შემდეგ ბინების რეალიზაცია გაჭირდება. ფასები კარგა ხანია არ შეგვიცვლია, მაგრამ კომპანიის გაყიდვები მაინც შემცირებულია. ამ სიტუაციაში ალბათ ყველა სამშენებლო კომპანია წაგებული რჩება.

სირთულეებს ქმნის ისიც, რომ ბინები ლარში იყიდება, თუმცა რეალურ ღირებულებას ხალხი მაინც დოლარში ანგარიშობს:

– ხალხი ლარს ძირითად ვალუტად ვერ აღიქვამს და ესეც გარკვეულ სირთულეებს გვიქმნის, თანაც, მშენებარე ბინებს ძირითადად კრედიტით ყიდულობენ, დოლარს მერე ლარზე ახურდავებენ და კომპანიის ანგარიშზე ლარი შემოაქვთ. თუ ლარი ჩვენს ქვეყანაში ძირითად ვალუტად იქცევა, ამას რა ჯობია, მაგრამ ამჟამად ბინის ფასს ყველა უცხოური ვალუტით ანგარიშობს, რომელიც თვალსა და ხელს შუა ძვირდება.

ამავე საკითხზე ვესაუბრეთ სამშენებლო კომპანია „ლავა ბიზნესის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მენეჯერ მარი კავთელიშვილს.

**მარი კავთელიშვილი:**

– ჩვენი კომპანია ძირითადად კერძო სახლებს აშენებს. აშენებული გვაქვს მცირე ზომის სახლები – დაახლოებით 30 კვ.მეტრი ფართობისა, მაგრამ უფრო დიდი მოცულობის სახლებსაც ვაშენებთ. ძირითადი კლიენტურა ლისის ტბაზე, ოქროყანაში, დიდ დიღომში, ისანსა და სამგორში გვყავს, მოთხოვნაა გლდანსა და ვარკეთილში აშენებულ სახლებზეც. ჩვენი კლიენტები ძირითადად უცხოეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეები არიან, თუმცა საკმაოდ აქტიურობენ რეგიონების წარმომადგენლებიც.

„ლავა ბიზნესის“ წარმომადგენელი ამბობს, რომ მათი კომპანიის საქმიანობა, სხვა სამშენებლო კომპანიების მსგავსად, დოლარის კურსზეა დამოკიდებული:

– სამშენებლო მასალები ჩვენთან ძირითადად იმპორტირებულია. არის მასალები, რომელთაც საქართველოში საერთოდ არ აწარმოებენ და დოლარში ვყიდულობთ. ამიტომ, ლარის დევალვაციამ მშენებლობა ძალიან გააძვირა. გარდა ამისა, ყველა სამშენებლო ფირმას სახელმწიფოს მიმართ თავისი ვალდებულებები აქვს, რომელსაც შესრულება უნდა. ჩვენს კომპანიას ფასები ჯერჯერობით არ გაუზრდია, მაგრამ ახალი წლის შემდეგ რა იქნება, ვერ გეტყვით, – აღნიშნა მარი კავთელიშვილმა.

– თუ ლარის დევალვაცია გაგრძელდება, მომავალი წლიდან უძრავი ქონება საქართველოში გაძვირდება, – განაცხადეს „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას სამშენებლო ბიზნესის წარმომადგენლებმა.

## ფიზიკური პირებისთვის ლარში გაცემული სესხების რაოდენობა იზრდება

კომერციული ბანკების საკრედიტო დაბანდების მოცულობა (არარეზიდენტებზე გაცემული სესხების ჩათვლით; კრედო ბანკის გარეშე), 2017 წლის ოქტომბერში, წინა თვესთან შედარებით 772.2 მლნ ლარით (3.9 პროცენტით) გაიზარდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე 1.3 პროცენტით გაიზარდა) და მიმდინარე წლის პირველი ნოემბრი-



სათვის 20.6 მლრდ ლარი შეადგინა.

ამავე პერიოდში, ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების მოცულობა 156.6 მლნ ლარით (1.9 პროცენტით) გაიზარდა, ხოლო უცხოური ვალუტით გაცემული სესხების მოცულობა გაიზარდა 615.6 მლნ ლარით (5.4 პროცენტით; გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე ზრდამ 0.9 პროცენტი შეადგინა).

საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციით, რეზიდენტი იურიდიული პირებისთვის 2017 წლის ოქტომბრის ბოლოს კომერციულ ბანკებს ეროვნული ვალუტით გაცემული ჰქონდათ 2.4 მლრდ ლარის (წინა თვესთან შედარებით 1.3 პროცენტით ნაკლები), ხოლო უცხოური ვალუტით – 6.5 მლრდ ლარის (5.0 პროცენტით მეტი) მოცულობის სესხი (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე 0.6 პროცენტით მეტი).

2017 წლის ოქტომბრის განმავლობაში 3.9 პროცენტით ანუ 400.1 მლნ ლარით გაიზარდა რეზიდენტი ფიზიკური პირების დაკრედიტების მოცულობა და მიმდინარე წლის პირველი ნოემბრისათვის 10.8 მლრდ ლარი შეადგინა.

მიმდინარე წლის პირველი ნოემბრისათვის მთლიანი სესხების ლარიზაციის კოეფიციენტმა 41.59 პროცენტი შეადგინა. პირველი ოქტომბრის მდგომარეობასთან შედარებით, გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, მთლიანი სესხების ლარიზაცია 0.23 პროცენტული პუნქტით გაიზარდა.

## ფიზიკურ პირებს ბირჟაზე განთავსებული ობლიგაციებიდან მიღებულ შემოსავალს აღარ დაუბეგრავენ

კაპიტალის ბაზრის განვითარებისთვის მთავრობამ მორიგი საკანონმდებლო ცვლილებები წარადგინა.

ფინანსთა სამინისტროს მიერ საგადასახადო კოდექსში მომზადებულ ცვლილებებში რამდენიმე სიახლეა, მათ შორის, ფიზიკური პირები და არარეზიდენტები გათავისუფლდებიან საშემოსავლო და მოგების გადასახადებისგან სასესხო და წილობრივი ფასიანი ქაღალდის მიწოდებითა და სასესხო ფასიანი ქაღალდიდან პროცენტის სახით მიღებულ შემოსავალზე, იმ პირობით, რომ ფასიანი ქაღალდი გამოშვებულია რეზიდენტი კომპანიის მიერ საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით და სავაჭროდ დაშვებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე.

ამასთან, სასესხო ფასიან ქაღალდებზე პროცენტის სახით მიღებული შემოსავლის ნაწილში შეღავათი გავრცელდება 2023 წლის 1 იანვრამდე გამოშვებულ ფასიან ქაღალდებთან მიმართებით.




– კაპიტალის ბაზრის რეფორმა სამთავრობო პროგრამის ეკონომიკური განვითარების ნაწილის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა. ქვეყანაში განვითარებული კაპიტალის ბაზრის არსებობა გულისხმობს, საბანკო დაკრედიტების პარალელურად, კომპანიებსაც მიეცეთ გრძელვადიანი ფინანსური რესურსების მოზიდვის ეფექტიანი შესაძლებლობა, – აცხადებენ ფინანსთა სამინისტროში.

მთავრობაში მიიჩნევენ, რომ ცვლილებები შექმნის კონკურენტულ გარემოს არა მხოლოდ დაკრედიტების, არამედ დანაზოგების ეფექტიანად გადანაწილების მიმართულებითაც.

# „ლილო მოლის“ პრეზიდენტი: „მოვაჭრეების ახლებურად დაბეგვრა ლიბერალურია“



„ლილო მოლის“ პრეზიდენტი ბაზრობაზე მოვაჭრეების ახლებურად დაბეგვრას „კომერსანტთან“ აფასებს.

ლევან გაგუასთვის მისაღებია საგადასახადო კოდექსის 26-ე მუხლში დაგეგმილი ცვლილება, რომელიც რამდენიმე წელია მიღებულია, თუმცა, მისი ამოქმედება დღემდე არ მომხდარა. გაგუა აცხადებს, რომ ცვლილების ძველი ვარიანტი სავაჭრო სუბიექტებისთვის და ბაზრობების ხელმძღვანელებისთვის კაბალური იყო, შედეგად, დღეს ხდება მისი კორექტირება და ახალი რედაქციით ჩამოყალიბება.

ბაზრობაზე მოვაჭრეს მიენიჭება სპეციალური სტატუსი და ისარგებლებს დაბეგვრის განსხვავებული რეჟიმით – პირი, რომელსაც მიენიჭება სტატუსი, კუთვნილი საშემოსავლო გადასახადის ნაცვლად, როგორც წესი, გადაიხდის ბრუნვის გადასახადს რეალიზებული საქონლის 3%-ის ოდენობით.

პირი, რომელიც გადაიხდის ბრუნვის გადასახადს, ფაქტობრივად, გათავისუფლდება ბუღალტერიის წარმოების ვალდებულებისაგან და არ ექნება გამოსაქვითი ხარჯების დადასტურების პრობლემა. ამასთან, ბაზრობაზე მოვაჭრე ფიზიკური პირი უფლებამოსილი იქნება, უარი თქვას ბრუნვის 3 პროცენტიანი გადასახადით დაბეგვრის რეჟიმის გამოყენებაზე და ისარგებლოს საშემოსავლო გადასახადის ჩვეულებრივი დაბეგვრის რეჟიმით.

ლევან გაგუა აცხადებს, რომ ბრუნვიდან 3 პროცენტის გადახდა გამარტივებული ბუღალტერიის წარმოებას ნიშნავს. მისი თქმით, მისასალმებელია ის, რომ ბოლო ვერსიით, მეწარმეს დაბეგვრის რეჟიმის არჩევანის საშუალება ექნება.

– შესაძლებელია, ასეთი ფორმატი ერთ მეწარმეს აწყობდეს, ხოლო მეორეს არა. შეიძლება არსებობდეს ისეთი დარგი ან საქონელი, სადაც ბრუნვის გადასახადი კონკრეტული მეწარმე სუბიექტისთვის მისაღები იყოს, – აცხადებს გაგუა.

„ლილო მოლის“ ხელმძღვანელი განმარტავს, რომ ბრუნვიდან 3 პროცენტის გადახდა, არითმეტიკულად, ჯამში უფრო მეტია, ვიდრე არსებული, მიმდინარე გადასახადი. გაგუას განცხადებით, მიუხედავად ამისა, თავისუფალი ეკონომიკა და თავისუფალი ბაზარი შინაარსობრივად მოიცავს იმას, რომ თავისუფლად აარჩიოს ადამიანმა დაბეგვრის სხვადასხვა ნორმები, რომელსაც პარლამენტი დაამტკიცებს და ეს არ იყოს იძულებითი.

გაგუას განცხადებით, საგადასახადო კოდექსში შესატანი ცვლილების ბოლო ვერსია მეწარმის მიერ დაბეგვრის რეჟიმის ნებაყოფლობით არჩევას გულისხმობს.

გაგუა აცხადებს, რომ ეს ცვლილებები და ზოგადად მიდგომა ლიბერალური და ძალიან კარგია.

– ძველი ვერსიით, ვაჭრობის ორგანიზატორს განიხილავდნენ როგორც საგადასახადო აგენტს და ავალდებულებდნენ სახელმწიფოზე მუშაობას. აღნიშნული მუხლის მიხედვით, ბაზრობის ორგანიზატორი იქცეოდა ჩვეულებრივ საგადასახადო აგენტად და მის მიერ გაქირავებულ ადგილზე არსებულ ხარვეზზე ფინანსურად პასუხს სწორედ ბაზრობის ადმინისტრაცია აგებდა. ასეთი მიდგომა არაკონსტიტუციური იყო, – აცხადებს გაგუა.

„ლილო მოლის“ ხელმძღვანელი საგადასახადო კოდექსის 26-ე მუხლში ბაზრობის ტერიტორიაზე არსებული არასტაციონარული სავაჭრო ადგილების სალარო აპარატებით ეტაპობრივად აღჭურვაზეც საუბრობს და აცხადებს, რომ თუ მეწარმე ეკონომიკურ საქმიანობას ეწევა, ის ნამდვილად ვალდებულია, სალარო აპარატი ჰქონდეს.

– ჩვენ ხელშეკრულებაში გვიწერია, რომ ის გააქტიურდება, თუ ფართის იჯარით აღებიდან 1 თვის ვადაში მეწარმე სალარო აპარატს წარმოადგენს. ჩვენთან ეს 2009 წლიდან მოქმედებს, – აცხადებს გაგუა.

საგადასახადო კოდექსის 26-ე მუხლში შესატანი ცვლილებების მიხედვით, სალარო აპარატის არქონისთვის მოვაჭრის ნაცვლად ბაზრობის ორგანიზატორი დაჯარიმდება.

ამასთან, სავალდებულო ხდება ბაზრობის ორგანიზატორის სტატუსის მიღება და სავაჭრო ადგილზე მოვაჭრე ფიზიკური პირების შესახებ ინფორმაციის წარდგენა; ეს ვალდებულება ბაზრობის ორგანიზატორებმა (გარდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით ვაჭრობის ორგანიზებისა) 2018 წლის პირველ ივლისამდე უნდა შეასრულონ.

გარდა ამისა, ბაზრობის ტერიტორიაზე არსებული არასტაციონარული სავაჭრო ადგილები სალარო აპარატებით ეტაპობრივად უნდა აღიჭურვოს.

ბაზრობის ორგანიზატორი ვალდებულია:

– არაუგვიანეს 2019 წლის 1 იანვრისა უზრუნველყოს ბაზრობის ტერიტორიაზე არსებული არასტაციონარული სავაჭრო ადგილის 1/3 საკონტროლო-სალარო აპარატებით;

– არაუგვიანეს 2019 წლის 1 ივლისისა უზრუნველყოს ბაზრობის ტერიტორიაზე არსებული არასტაციონარული სავაჭრო ადგილის 2/3 საკონტროლო-სალარო აპარატებით;

არაუგვიანეს 2020 წლის 1 იანვრისა სრულად უზრუნველყოს ბაზრობის ტერიტორიაზე არსებული არასტაციონარული სავაჭრო ადგილი საკონტროლო-სალარო აპარატებით.

# ბოლნისში 43 წლის მამაკაცი არყის გამოსახდელ ქვაბში ჩავარდა



ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა კაზრეთში, 43 წლის მამაკაცი არყის სახდელ ქვაბში ჩავარდა.

როგორც დამწვრობის ცენტრის ხელმძღვანელი გუგა ქაშიბაძე აღნიშნავს, მამაკაცს შემთხვევის შედეგად მიღებული აქვს მე-2, მე-3 ხარისხის დამწვრობა და ამ დრომდე რეანიმაციულ განყოფილებაში რჩება.

— დიაგნოზიდან გამომდინარე, საკმაოდ სერიოზული დამწვრობა აქვს. პაციენტი დამწვრობის ცენტრის რეანიმაციულ განყოფილებაში იმყოფება. მას მე-2, მე-3 ხარისხის დამწვრობა აქვს. სხეულის 60 პროცენტი, ქვემო და ზემო კიდურები, მუცელი, გულ-მკერდი და დუნდულები დამწვარი აქვს. პაციენტის მდგომარეობა დინამიკაში სტაბილურად მძიმე რჩება, — აღნიშნა ექიმმა.

# ლიმონათის 4 მწარმოებელს საწარმოო პროცესი შეუჩერდა



სურსათის ეროვნულმა სააგენტომ ლიმონათის 4 მწარმოებელს საწარმოო პროცესი შეუჩერა.

— სურსათის ეროვნული სააგენტოს თბილისის საქალაქო სამსახურის სპეციალისტები უალკოჰოლო სასმელების საწარმოებში ინსპექტირებას ატარებენ. მოწმდება საწარმოს სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები, საწარმოო პროცესი, არომატიზატორების ვარგისიანობა, შესაფუთი მასალა და ტარა, ასევე პერსონალის ჰიგიენა. სახელმწიფო კონტროლი ხორციელდება როგორც მცირე, აგრეთვე მსხვილ წარმოებებში. საწარმოების ნაწილი დადგენილ სტანდარტებს აკმაყოფილებს, თუმცა, შემოწმების პროცესში გამოვლინდა სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დარღვევის ფაქტები და სხვა კრიტიკული შეუსაბამობები, რის გამოც თბილისში მოქმედ მცირე წარმოებებს — შპს „ვივოს“ და შპს „ტექნოპლასტი 2010“ -ს შეუჩერდა საწარმოო პროცესი.

მიმდინარე წელს სურსათის ეროვნულმა სააგენტომ მთელი ქვეყნის მასშტაბით, უალკოჰოლო სასმელების საწარმოებში 37 ინსპექტირება განახორციელა. ეტიკეტირების წესის დარღვევის და არაკრიტიკული შეუსაბამობების გამო დაჯარიმდა 9 ბიზნესოპერატორი, მათ შორის, კრიტიკული შეუსაბამობების გამო საწარმოო პროცესი შეუჩერდა და დაჯარიმდა 4 ბიზნესოპერატორი — შპს VIVA (თბილისი), შპს „ბარა-ბუ“ (რუსთავი), ი/მ კობა მირველაშვილი (გურჯაანის რაიონი), შპს „ტექნოპლასტი 2010“ (თბილისი). სააგენტო განაგრძობს უალკოჰოლო სასმელების მწარმოებლების შემოწმებას, — აღნიშნულია სეს-ის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# სამცხე-ჯავახეთში მოქალაქეებმა ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ნებაყოფლობით ჩააბარეს



სამცხე-ჯავახეთში მოქალაქეებმა ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ჩააბარეს.

— შსს-ს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტში ახალქალაქის რაიონის სოფელ ორჯაში მცხოვრებმა, 1985 წელს დაბადებულმა გ.ბ.-მ და ადიგენის რაიონის სოფელ სმადას მცხოვრებმა, 1981 წელს დაბადებულმა გ.ხ.-მ ცეცხლსასროლი იარაღი და სხვადასხვა ტიპის საბრძოლო მასალა ნებაყოფლობით წარმოადგინეს და ჩააბარეს.

სულ ჩაბარებულია: 2 გადაჭრილი სანადირო თოფი — ე.წ. „აბრეზი“, 112 საბრძოლო ვაზნა, 2 ხელყუმბარა, 2 ამფეთქი ფალია, 4 კილოგრამზე მეტი ტროტილი, ტყვიამფრქვევის 1 ვაზნა, ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარის შემადგენელი ნაწილი და სასიგნალო პისტოლეტის 5 ვაზნა.

აღნიშნული პირები, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის 1-ელი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობიდან თავისუფლდებიან“ — აღნიშნულია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# მამათმავლობაში ბრალდებულს 8 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა



თბილისის საქალაქო სასამართლომ მამათმავლობაში ბრალდებული წარდგენილ ბრალდებაში დამნაშავედ ცნო და 8 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ თბილისის საქალაქო სასამართლოდან აცნობეს, სასამართლომ დაასრულა სისხლის სამართლის საქმის განხილვა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენის ფაქტზე, ბრალდებულ გ.ვ.-ს მიმართ.

— გ.ვ.-ს ბრალად ედებოდა მამათმავლობა წინასწარი შეცნობით თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველთან, წინასწარი შეცნობით სექსუალური ხასიათის შეღწევა წინასწარი შეცნობით თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწევლის სხეულში, ძალადობის გარეშე გარყვნილი ქმედება წინასწარი შეცნობით თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველთან და ძალადობის გარეშე სრულწლოვნის გარყვნილი ქმედება დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველთან.

არასრულწლოვანი ბიჭების მიმართ სექსუალური ლტოლვის მქონე ბრალდებულმა გ.ვ.-მ აღიარა მის მიმართ ბრალად წარდგენილი დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენის ფაქტი და სადავოდ არ გახადა ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

სასამართლომ ბრალდებული გაამართლა მის მიმართ წარდგენილ ერთ ეპიზოდში, ხოლო დანაშაულის 43 ეპიზოდის ჩადენისათვის გ. ვ. ცნობილ იქნა დამნაშავედ.

გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე, ბრალდებულს სასჯელის სახედ და ზომად, დანაშაულთა ერთობლიობით და შთანთქმის პრინციპის გამოყენებით, საბოლოოდ 8 წლით და 9 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა. ბრალდებულს სასჯელად მუხლის სანქციით გათვალისწინებული მაქსიმალურ სასჯელთან მიახლოებული სასჯელი განესაზღვრა, — ნათქვამია თბილისის საქალაქო სასამართლოს განცხადებაში.

# სამართალდამცველებმა საბაჟო გამშვებ პუნქტ „ყაზბეგში“ პნევმატური იარაღის უკანონოდ შემოტანის ფაქტი აღკვეთეს



სამართალდამცველებმა საბაჟო გამშვებ პუნქტ „ყაზბეგში“ პნევმატური იარაღის საზღვარზე უკანონოდ შემოტანის ფაქტი აღკვეთეს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს, მებაჟე ოფიცრებმა 21 ნოემბერს სომხეთის მოქალაქის მ.ა.-ს მართვის ქვეშ არსებული ავტომობილის დათვალიერებისას არადეკლარირებული პნევმატური იარაღი აღმოაჩინეს.

საქმე, შემდგომი რეაგირების მიზნით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაეცა.

## საერთაშორისო

# ტუსკი: „ევროკავშირი ყირიმის ანექსიას არასოდეს აღიარებს!“



პრორუსული ლობი ევროპაში გულმოდგინედ ცდილობს, რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციების გაუქმებას მიაღწიოს. გერმანულ პრესაში ინტენსიურად ჩნდება მასალები, რომელთა ავტორებიც ამტკიცებენ, რომ სანქციების შედეგად გერმანიაში უმუშევრობა 4,4%-ით გაიზარდა. სლოვაკეთის პარლამენტში ოპოზიციამ რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციების გაუქმება მოითხოვა.

მიუხედავად ამისა, ევროპა სანქციების გაუქმებას არ აპირებს. ამის თაობაზე ევროსაბჭოს თავმჯდომარე დონალდ ტუსკმა განაცხადა. უკრაინის პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოსთან შეხვედრისას მან აგრეთვე თქვა, რომ დასავლეთი უკრაინის დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას მხარს ულაპარაკოდ უჭერს.

— ევროკავშირი ყირიმის ანექსიას არასოდეს აღიარებს, — თქვა ტუსკმა.

# სირიის ოპოზიცია: ასადი უნდა წავიდეს!



ელ-რიადში საუდის არაბეთის ხელისუფლების მიწვევით სირიის ოპოზიციის წარმომადგენლები შეიკრიბნენ. მიღებულ იქნა დოკუმენტი, რომელზეც ოპოზიციის ყველა ლიდერმა მოაწერა ხელი.

მასში ნათქვამია, რომ სირიაში თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნები უნდა ჩატარდეს და დიქტატორი ასადი თანამდებობიდან წავიდეს.

— ასადი სამხედრო დამნაშავეა! მას არ აქვს უფლება, პრეზიდენტის პოსტი დაიკავოს, — აცხადებენ ოპოზიციონერები.

თეთრმა სახლმა, თავის მხრივ, პოზიცია კვლავ დააფიქსირა და განაცხადა, რომ აშშ-ის არმია სირიიდან არ წავა. ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ სირიის სამხრეთში, სადაც ამერიკელები იმყოფებიან, ასადის ალტერნატიული ხელისუფლება ჩამოყალიბდეს.

ქურთები, მას შემდეგ რაც რაქას აღებაში ძირითადი როლი შეასრულეს, ავტონომიას უფრო კატეგორიულად მოითხოვენ. ამას ეწინააღმდეგებიან ერაყი და თურქეთი. სირიაში თავისი ინტერესები აქვს ირანსაც, რომელიც ახლო აღმოსავლეთში გავლენის გაძლიერებას ესწრაფვის და „შიიტური რკალის“ შექმნას ცდილობს, რაც ძირეულად ეწინააღმდეგება თურქეთის მისწრაფებებს.

მიუხედავად სოჭის შეხვედრისა, თურქეთი შეეცდება, სირიაში თავისი ანკლავი შეინარჩუნოს. შესაბამისად, თურქეთის არმიაც სირიიდან გასვლას არ ჩქარობს.

— მშვიდობა სირიაში კიდევ კარგა ხანს არ დამყარდება. მართალია, პუტინმა საჯაროდ გამოაცხადა, რუსული არმია სირიიდან მიდისო, მაგრამ რეალობა სხვაა. რუსები სირიაში დარჩებიან, რათა ასადს მხარი დაუჭირონ. შესაბამისად, მოსკოვს კვლავ მოუწევს უზარმაზარი მატერიალური თუ ადამიანური რესურსების გაღება იმისთვის, რომ ასადი სირიის ხელისუფლებაში დარჩეს, — თვლის ექსპერტი ვიტალი პორტნიკოვი.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## კალეიდოსკოპი

### ჩინეთში ხუთფეხიანი ხბო დაიბადა



ჩინეთის პროვინცია ხეილუნცზიანის ქალაქ მულინის მახლობლად მდებარე ფერმაში ხუთფეხიანი ხბო დაიბადა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

ზედმეტი ფეხი ზურგიდან იზრდება და ცხოველის მარჯვენა გვერდზეა ჩამოკიდებული. ამის მიუხედავად, ხბო სრულიად ჯანმრთელია და ნორმალურად ვითარდება.

ეს გადახრა შესაძლოა აიხსნა პოლიმელიით. ზედმეტი კიდური ასეთი დარღვევის შედეგს წარმოადგენს.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

### გამვლელმა მეცხრე სართულიდან გადმოვარდნილი ქალი დაიჭირა



ჩილეს დედაქალაქ სანტიაგოში ჰაიტელი ემიგრანტი შეეცადა, გადაერჩინა ქალი, რომელიც მრავალსართულიანი შენობიდან გადმოვარდა.

ქალი სახლის კედელზე ეკიდა, მეცხრე სართულის აივნის მოაჯირზე ჩაბღაუჭებული. უცნობია, თუ როგორ აღმოჩნდა ის ასეთ მდგომარეობაში. ქვევით ხალხი შეგროვდა, რომლებიც ამ ყოველივეს მობილური ტელეფონებით იღებდნენ.

ჰაიტელმა რიჩარდ ჯოზეფმა, რომელიც ჩილეში სამი წლის წინ ჩამოვიდა, ასეთ მდგომარეობაში მყოფი ქალი ავტობუსიდან ჩამოსვლის შემდეგ შენიშნა.

— თავდაპირველად ტელეფონი ამოვიღე და სხვებივით გადაღება დავიწყე. შემდეგ მივხვდი, რომ ეს შესაფერისი საქციელი არ იყო. მაშინ დავიწყე იმაზე ფიქრი, თუ როგორ დავხმარებოდი, — განაცხადა ჯოზეფმა, — გადავწყვიტე, როგორმე მისი დაცემა შემემსუბუქებინა. არ მიფიქრია, რომ მას მართლაც გადავარჩენდი, მაგრამ მინდოდა, ის მიწაზე თავით არ დაცემულიყო.

ჯოზეფმა განსაზღვრა, თუ სად შეიძლებოდა დაცემულიყო ქალი, იქ დადგა და ხელები წინ გაიშვირა. როდესაც ქალს ხელები გაეშვა და ქვევით დაეშვა, პირდაპირ მას დაეცა. ამის შედეგად ორივე დაშავდა, თუმცა ცოცხლები გადარჩნენ. ქალი საავადმყოფოში მძიმე მდგომარეობაში მყოფი გადაიყვანეს, ჰაიტელმა კი მუხლი, ქუსლი და ხელი დაიზიანა.

ჩილელმა ფილანტროპმა ლეონარდო ფერკასმა განაცხადა, რომ ჯოზეფის მკურნალობისთვის ორ მილიონ ჩილურ პესოს გაიღებდა.

### ბრიტანელმა გოგონამ წონაში პურის დახმარებით დაიკლო

ფიტნეს-ბლოგერმა ბრიტანეთის ქალაქ პორტსმუთიდან გაამხილა საკუთარი დიეტის საიდუმლო, რომელიც ნახშირწყლებით მდიდარი აღმოჩნდა.

ჰაილი მედიგანმა აღიარა, რომ ის ძალიან ბევრ ნახშირწყლებს მოიხმარს. თუმცა 27 წლის გოგონა ცდილობს, შეარჩიოს ის პროდუქტები, რომლებიც ე.წ. ნელ ნახშირწყლებს შეიცავს, რომელთა რიცხვში დაუფქვავი ხორბლის პურიც შედის. მისი თქმით, მისი რაციონში ჩართვა უფრო ეფექტურად ვარჯიშში დაეხმარა, ამან კი ის შედეგი გამოიღო, რომ ზედმეტი წონა მოიშორა და სხეული დაეკუნთა.

— ნახშირწყლების მიღების ყოველთვის მეშინოდა, ამიტომ მათზე მთელი კვირის განმავლობაში ვამბობდი უარს, მაგრამ მერე კვირა დღეს თავს ველარ ვიკავებდი და ბევრ მავნე პროდუქტს ვჭამდი, მათ შორის ფასტფუდსაც, — განაცხადა მედიგანმა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## რობინიოს 9-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს

ბრაზილიელ ფეხბურთელ რობინიოს იტალიურმა სასამართლომ 9-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა.



საქმე ეხება 2013 წლის შემთხვევას მილანის ღამის კლუბში, სადაც რობინიომ ახალგაზრდა ქალის ჯგუფურ გაუპატიურებაში მიიღო მონაწილეობა.

რობინიო დღემდე ყველა ბრალდებას უარყოფს, მაგრამ იტალიურმა სასამართლომ ის დამნაშავედ ცნო. ჯერჯერობით უცნობია, ჩაჯდება თუ არა რობინიო ციხეში, რადგან ის ბრაზილიაში იმყოფება, ხოლო ბრაზილია თავისი მოქალაქეების სხვა ქვეყნებში ექსტრადირებას არ ახდენს.

რობინიო მილანის შემადგენლობაში 2010-2015 წლებში თამაშობდა და გუნდთან ერთად იტალიის ჩემპიონატიც მოიგო.

## კრიშტიანო რონალდუ მწვრთნელობას აპირებს



პორტუგალიელმა სუპერ ვარსკვლავმა კრიშტიანო რონალდუმ განაცხადა, რომ საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ მწვრთნელობას აპირებს.

რონალდუს თქმით, ის ამ საქმეშიც წარმატებული იქნება.

— ფეხბურთში დიდი გამოცდილება დავაგროვე და სამწვრთნელო კარიერაში ეს უდავოდ ძალიან დამეხმარება. როდესაც ფეხბურთელი აღარ ვიქნები, მინდა, რომ ამ სფეროში დავრჩე და მწვრთნელობა ამისი საუკეთესო საშუალებაა, — განაცხადა კრიშტიანო რონალდუმ.

## პსჟ-მ ფელაინის 4-წლიანი კონტრაქტი შესთავაზა



მანჩესტერ იუნაიტედის ბელგიელ ფეხბურთელს მარუან ფელაინის სეზონის ბოლოს კონტრაქტი უმთავრდება და ჯერჯერობით მანჩესტერი არ აპირებს მისთვის ახალი კონტრაქტის შეთავაზებას. ამ შემთხვევაში ფელაინი 2018 წლის ზაფხულში თავისუფალი აგენტი გახდება.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მას პსჟ ეპატიჟება და 4-წლიან კონტრაქტს სთავაზობს. ჯერჯერობით თვითონ ფელაინის ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებია.

## ვალენსიას მწვრთნელი: „ბარსელონას დამარცხება შეგვიძლია“

ვალენსიას მთავარმა მწვრთნელმა მარსელინიო გარსია ტორალმა ბარსელონასთან დაპირისპირებაზე ისაუბრა და თქვა, რომ მის გუნდს შეუძლია მრისხანე მეტოქის დამარცხება. ტორალის აზრით, ბარსელონა დაუმარცხებელი არ არის და ვალენსიამ თავისი შანსი უნდა გამოიყენოს.



— ვიცით, რომ წინ ურთულესი შეხვედრა გველოდება ძალიან ძლიერ მეტოქესთან, მაგრამ მჯერა, რომ ჩემი ფეხბურთელები მაქსიმუმს გააკეთებენ წარმატების მისაღწევად. შანსი გვაქვს, რომ ბარსელონასთან ქულათა სხვაობა შევამციროთ და ეს შანსი ხელიდან არ უნდა გავუშვათ, — განაცხადა მარსელინიო გარსია ტორალმა.

ვალენსია ბარსელონას საკუთარ მოედანზე კვირას, 26 ნოემბერს მიიღებს.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## კალეიდოსკოპი

### კანადელმა გოგონამ საკუთარი სახე ბურგერსა და პიცას დაამსგავსა



კანადელმა ვიზაჟისტმა საკუთარი სახე და ხელები კოსმეტიკის საშუალებით ფასტფუდს დაამსგავსა. ის საკუთარ ნამუშევრებს ფეისბუქში რეგულარულად ავრცელებს. მისმა ბოლო ნამუშევრებმა კი მედიის ყურადღებაც მიიპყრო.

ადრე მიმი ჩოი სკოლამდელებთან მუშაობდა, მაგრამ რამდენიმე წლის წინ გადაწყვიტა, პროფესიონალი ვიზაჟისტი გამხდარიყო. მისი ბოლო პროექტი ფასტფუდს უკავშირდება. კოსმეტიკისა და აკვაგრიმის დახმარებით მან პიცის, ბურგერის, კარტოფილი ფრისა და ჰოთ-დოგის რეალისტური გამოსახულებები შექმნა საკუთარ სხეულზე.

გოგონას თქმით, ეს იდეა მას მაშინ დაებადა, როდესაც „მაკდონალდსის“ რესტორანს ჩაუარა.

— მე მიყვარს საჭმელი და მაკიაჟი, ამიტომაც გადავწყვიტე, რომ ისინი ერთმანეთისთვის მიმესადაგებინა. ბურგერის სახეზე მუშაობა მეტად მხიარული გამოვიდა. თავს სიცილისგან ვერ ვიკავებდი, — განაცხადა მიმიმ.

ზოგიერთი თავისი ნაწარმოების შექმნას ჩოი ხუთ საათს ანდომებს. ყველაზე ხშირად ის მაკიაჟის დახმარებით საშიშ ოპტიკურ ილუზიებს ქმნის, რომლებსაც ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე აქვეყნებს.

### ეთიოპიაში ვულკანმა გაიღიმა



ბრიტანელმა ფოტოგრაფმა კრისტოფერ ჰორსლიმ მოახერხა, ეთიოპიაში „მოღიმარი“ ვულკანი გადაეღო. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

ფოტოგრაფმა ვულკანი კრატერის გადაღება დედამიწის ყველაზე ცხელ ადგილზე ექსპედიციის დროს შეძლო, რომელიც ეთიოპიის ტერიტორიაზე მდებარეობს. იქ ტემპერატურა 34 გრადუსზე დაბლა არასოდეს ჩამოდის.

ჰორსლი ეთიოპიაში პირველად იმყოფებოდა და ქვეყნის სილამაზით მოიხიბლა, თუმცა აუტანელმა სიცხემ მაინც შეაწუხა.

— მრავალსაათიანი მგზავრობის შემდეგ ჩვენ ყველაზე განცალკევებულ ადგილას აღმოვჩნდით. მოუთმენლად ველი იმ დღეს, როდესაც იქ ისევ დავბრუნდები, ამჯერად უკვე ინტერვალური გადაღების კამერებით, — განაცხადა ბრიტანელმა ფოტოგრაფმა.

აღსანიშნავია, რომ კრისტოფერ ჰორსლი საკუთარ თავს ვულკანების დამპყრობს უწოდებს და იუთუბიში საკუთარი ექსტრემალური გატაცებისადმი მიძღვნილ გვერდს უძღვება.

### მოდელმა ტანსაცმელი შიშველ სხეულზე დაიხატა და მაღაზიაში წავიდა



ამერიკის მერილენდის შტატში შიშველი მოდელი სავაჭრო ცენტრში სხეულზე დახატული ტანსაცმლით მივიდა, რათა გაეგო, შეამჩნევდნენ თუ ამ ყოველივეს იქ მყოფი გამყიდველები და მყიდველები. ბოდიარტ-მხატვარმა ჯენ სეიდელმა მისი ეს გასეირნება ვიდეოზე გადაიღო და შემდეგ ჩანაწერი ინსტაგრამში გამოაქვეყნა.

სეიდელმა მოდელ მარია ლუჩიოტის სხეულზე შემოტმასნილი დახეული ჯინსები და შავი ზედატანი დახატა. ჩექმები და თავსაბურავი კი ნამდვილი იყო. გარდა ამისა, მარიას ეკეთა ყელსახვევი, რომელიც მკერდს უფარავდა.

ადამიანების უმრავლესობას, რომლებიც სავაჭრო ცენტრში მოდელსა და მხატვარს შეხვდნენ, არაფერი შეუმჩნევიათ, თუმცა ისეთებიც საკმარისად აღმოჩნდნენ, რომლებიც მარიას ეჭვის თვალით ათვალიერებდნენ, ხოლო როდესაც გამყიდველებმა გაიგეს, რომ გოგონა შიშველი იყო, მეტად გამხიარულდნენ და მასთან სურათების გადაღება დაიწყეს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## საზოგადოება

### ვანიკო გალუაშვილი გარდაცვლილი საეცრაზმელის ოჯახისთვის ფონდის გახსნას ითხოვს



ოპერის მომღერალი ვანიკო გალუაშვილი სპეცოპერაციის დროს გარდაცვლილი ვანო გოლოშვილის მეუღლისა და 2 შვილის დასახმარებლად ფონდის ან ანგარიშის გახსნის ინიციატივით გამოდის:

— ძვირფასო მეგობრებო, ძალიან გთხოვთ, წაიკითხოთ ყველამ. ეს ადამიანი მართლა გმირია და ღმერთმა აცხონოს მისი სული. დარჩა მეუღლე და ორი შვილი. ყველა გავაზიარებთ ფოტოს და სინანულით ყველას დაგვეწვება გული... ამ ადამიანმა თავი შესწირა ჩვენს სამშობლოსა და თითოეული ჩვენგანის კეთილდღეობას.

შემოვდივარ ინიციატივით, შევქმნათ ფონდი თუ ანგარიში და ყველა ჩვენგანმა გადავრიცხოთ რაღაც გარკვეული თანხა, თუნდაც სიმბოლური 10 ლარი მისი ცოლ-შვილის დასახმარებლად... იქნებ ერთად შევძლოთ მისი შვილების უზრუნველყოფა.

### „ნიჭიერის“ მონაწილე პროდიუსერებს უპირისპირდება



მოცეკვავე ნინი ძაგანია „ნიჭიერის“ ახალი სეზონის შესარჩევ კონკურსში მონაწილეობდა. კონკურსანტი პროექტის პროდიუსერებს ბრალდებებს უყენებს:

— მე, ნინი ძაგანია, ვცხოვრობ ქალაქ თბილისში. წელს მონაწილეობა მივიღე იმედის არხზე „ნიჭიერის“ ქასტინგში, შევასრულე ცეკვა, ჟიურისგან დავიმსახურე მოწონება და მივიღე 4 კი. დიდი მადლობელი ვარ მათი ობიექტურობის.

სცენაზე სანამ დავდგებოდი, პროდიუსერმა გამაფრთხილა, რომ სელფი გადამეღო ბახუტასთან. ამის შემდეგ მთელი ორი თვის განმავლობაში „ნიჭიერის“ ბავშვები დავდიოდით რეპეტიციებზე, გადაღებებზე. უშუალოდ მე ბევრ რეკლამაში გადამიღეს და პლუს „არგოს“ წვენის რეკლამაშიც.

შემდეგ ყოველ ორშაბათს დავდიოდით ქალაქში „ნიჭიერის“ ავტობუსით და რეკლამას ვუკეთებდით „ნიჭიერს“ ცეკვით. ტელევიზორშიც თუ არ გაუშვებდნენ ჩემს ნომერს, რატომ მიბარებდნენ ყოველ კვირას დილიდან ღამის 12 საათამდე?! რამდენჯერ სკოლა გავაცდინე.

მე არ მქონია ნახევარფინალში გადასვლის ამბიცია. ჩემი სურვილი იყო სცენაზე გამოსვლა და ტელევიზორში გამოჩენა, რითაც კმაყოფილი დავრჩებოდი, ხალხი რომ გამიცნობდა. კულუარებიდან გამოვიდა ხმა, რომ მთავარი იყო შოუს დადგმა „ნიჭიერის“ შოუმდე. ამიტომ გამოიყვანეს უკრაინელი ქალი, რომელმაც ბარძაყებით საზამთრო გატეხა და ყველას შეაზიზღა ალბათ საზამთროს მირთმევა. რამდენი მონაწილე არ გადავიდა ნახევარფინალში, მაგრამ ტელევიზორში აჩვენეს ბევრის ნომერი.

პროდიუსერს რომ ვკითხე ჩემი არგამოსვლის მიზეზი, რომ მთელი სკოლა მელოდება და რა ვუთხრა ჩემს მეგობრებს-მეთქი, ცინიკურად მიპასუხა, ეგ შენი პრობლემააო. მისი პრობლემა ის არის, რომ „ნიჭიერი“ იმედის არხზე გადმოვიდა, ამბიციამ შეაწუხა და გამოამჟღავნა თავისი არაობიექტურობა და არაკომპეტენტურობა.

დღეიდან ყველას ვურჩევ ჩემი კეთილი სურვილითა და გამოცდილებით, რომ სამომავლოდ არ მივიდნენ იმედის არხის „ნიჭიერის“ შოუში, ვინაიდან პროდიუსერი ბრძანდება „ტენდენციური“. ეს სიტყვა ბევრი მნიშვნელობით აიხსნება...

„ნიჭიერის“ პროდიუსერებს დიდი სირცხვილი!

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*



## განცხადებები

### ქირავდება

● ქირავდება საკუთარი სახლის პირველი სართული, სამი ოთახი, სამზარეულო, აბაზანა, ინტერნეტი — დიღომში, დავით აღმაშენებლის ძეგლთან ახლოს, თამარ მეფის ქუჩა 3. ფასი 550 ლარი. ტელ: 592-599-777.

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) — სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. აჩქარებს ოპერაციის შემდგომ ჭრილობების შეხორცებას. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) — მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა — შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით — იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) — მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან — შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

# ევროპაში საინტერესო უქმეებია

## სტატისტიკა, ფსონები

გერმანიაში 2 დერბია — ბავარიული (გლადბახი-ბაიერნი) და რურის (დორტმუნდი-შალკე). საინტერესო მატჩებია სხვა ქვეყნებშიც: ინგლისში ლივერპული ენფილდზე დაუხვდება ჩელსის. ესპანეთსა და საფრანგეთში კი ურთიერთობებს 1-2 ადგილოსანი გუნდები გაარკვევენ. ვალენსია-ბარსელონას უმასპინძლებს, ხოლო მონაკო — პსჟ-ს.

### ინგლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| 25.11 კრ.პალასი-სტოკი | 2.1 | 3.3 | 3.5 |
| 25.11 მანჩესტერი-ბრაიტონი | 1.18 | 6.5 | 19.0 |
| 25.11 სუონსი-ბორნმუთი | 2.7 | 3.1 | 2.7 |
| 25.11 ნიუკასლი-უოტფორდი | 2.1 | 3.3 | 3.5 |
| 25.11 ტოტენჰემი-ვესტ ბრომვიჩი | 1.22 | 5.5 | 15.0 |
| 25.11 ლივერპული-ჩელსი | 2.15 | 3.5 | 3.25 |
| 26.11 საუთჰემპტონი-ევერტონი | 1.83 | 3.4 | 4.4 |
| 26.11 ბარნლი-არსენალი | 6.0 | 4.0 | 1.53 |
| 26.11 ჰადერსფილდი-სიტი | 13.0 | 6.5 | 1.2 |

**კრ.პალასი-სტოკი**

კრ.პალასი: ***ტრავმ***-პატრიკ ვან ანჰოლტი, ლი ჩუნგ-იონგი

სტოკი: ***ტრავმ***-ჯეკ ბატლანდი, ჯეფ კამერონი

**მანჩესტერი-ბრაიტონი**

მანჩესტერი: ***ტრავმ***-ფილ ჯონსი, მაიკლ კერიკი

ბრაიტონი: ***ტრავმ***-არავინ

**სუონსი-ბორნმუთი**

სუონსი: ***ტრავმ***-კილი ბარტლი

ბორნმუთი: ***ტრავმ***-ჯუნიორ სტანისლასი, ადამ სმიტი, ტაირონ მინგსი

**ნიუკასლი-უოტფორდი**

ნიუკასლი: ***ტრავმ***-კრისტიან ატსუ, ჯამალ ლასკელესი, მიკელ მერინო, პოლ დამერტი

უოტფორდი: ***ტრავმ***-ნათან ჩალობა, იუნის კაბული

**ტოტენჰემი-ვესტ ბრომვიჩი**

ტოტენჰემი: ***ტრავმ***-ტობი ალდერვერელდი, ვიქტორ ვინიამა

ვესტ ბრომვიჩი: ***ტრავმ***-ნასერ ჩადლი, კრეიგ დაუსონი, ჯეიმს მორისონი

**ლივერპული-ჩელსი**

ლივერპული: ***ტრავმ***-ჯოელ მატიპი

ჩელსი: ***ტრავმ***-ჩარლი მუსონდა, მიშუ ბაშტუაი

**საუთჰემპტონი-ევერტონი**

საუთჰემპტონი: ***ტრავმ***-მარიო ლემინა

ევერტონი: ***ტრავმ***-არავინ

**ბარნლი-არსენალი**

ბარნლი: ***ტრავმ***-ჯონათან უოლტერსი, ტომას ჰატონი

არსენალი: ***ტრავმ***-სანტი კაზორლა

**ჰადერსფილდი-სიტი**

ჰადერსფილდი: ***ტრავმ***-მაიკლ ჰეფელე, ფილ ბილინგი

სიტი: ***ტრავმ***-ბენჯამინ მენდი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 12 | 11 | 1 | 0 | 40-7 | 34 |
| 2.მანჩესტერი | 12 | 8 | 2 | 2 | 27-6 | 26 |
| 3.ჩელსი | 12 | 8 | 1 | 3 | 23-10 | 25 |
| 4.ტოტენჰემი | 12 | 7 | 2 | 3 | 20-9 | 23 |
| 5.ლივერპული | 12 | 6 | 4 | 2 | 24-17 | 22 |
| 6.არსენალი | 12 | 7 | 1 | 4 | 22-16 | 22 |
| 7.ბარნლი | 12 | 6 | 4 | 2 | 12-9 | 22 |
| 8.უოტფორდი | 12 | 5 | 3 | 4 | 19-21 | 18 |
| 9.ბრაიტონი | 12 | 4 | 4 | 4 | 13-13 | 16 |
| 10.ჰადერსფილდი | 12 | 4 | 3 | 5 | 8-17 | 15 |
| 11.ნიუკასლი | 12 | 4 | 2 | 6 | 11-14 | 14 |
| 12.ლესტერი | 12 | 3 | 4 | 5 | 16-18 | 13 |
| 13.ბორნმუთი | 12 | 4 | 1 | 7 | 11-14 | 13 |
| 14.საუთჰემპტონი | 12 | 3 | 4 | 5 | 9-14 | 13 |
| 15.სტოკი | 12 | 3 | 4 | 5 | 15-24 | 13 |
| 16.ევერტონი | 12 | 3 | 3 | 6 | 12-24 | 12 |
| 17.ვესტ ბრომვიჩი | 12 | 2 | 4 | 6 | 9-18 | 10 |
| 18.ვესტ ჰემი | 12 | 2 | 3 | 7 | 11-25 | 9 |
| 19.სუონსი | 12 | 2 | 2 | 8 | 7-15 | 8 |
| 20.კრ.პალასი | 12 | 1 | 2 | 9 | 6-24 | 5 |

### ესპანეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 25.11 ალავესი-ეიბარი | 2.6 | 3.0 | 2.9 |
| 25.11 რეალი-მალაგა | 1.07 | 12.0 | 23.0 |
| 25.11 ბეტისი-ხირონა | 2.05 | 3.6 | 3.4 |
| 25.11 ლევანტე-ატლეტიკო | 7.0 | 3.6 | 1.57 |
| 26.11 დეპორტივო-ბილბაო | 2.75 | 3.2 | 2.6 |
| 26.11 სოსიედადი-ლას პალმასი | 1.4 | 5.0 | 7.0 |
| 26.11 ვილიარეალი-სევილია | 2.4 | 3.3 | 2.9 |
| 26.11 ვალენსია-ბარსელონა | 3.75 | 4.0 | 1.85 |
| 27.11 ესპანიოლი-ხეტაფე | 1.95 | 3.3 | 4.0 |

**ალავესი-ეიბარი**

ალავესი: ***ტრავმ***-ჰექტორი

ეიბარი: ***ტრავმ***-კრისტიან რივერა, ივან რამისი

**რეალი-მალაგა**

რეალი: ***ტრავმ***-კეილორ ნავასი, გარეთ ბეილი

მალაგა: ***ტრავმ***-მიგელ ტორესი, ზდრავკო კუზმანოვიჩი, ფედერიკო რიკა

**ბეტისი-ხირონა**

ბეტისი: ***ტრავმ***-ფრანსის გერერო, ჯოელ კემბელი, ზუჰარ ფედალი

ხირონა: ***ტრავმ***-პერე პონსი, პედრო ალკალა

**ლევანტე-ატლეტიკო**

ლევანტე: ***ტრავმ***-ალექს ალეგრია, ნანო, ივან ლოპესი

ატლეტიკო: ***ტრავმ***-არავინ

**დეპორტივო-ბილბაო**

დეპორტივო: ***ტრავმ***-ხუანფრანი

ბილბაო: ***ტრავმ***-ბენატ ეჩებერია, ოსკარ დე მარკოსი, იკერ მუნიანი

**სოსიედადი-ლას პალმასი**

სოსიედადი: ***ტრავმ***-კარლოს ველა, იმანოლ აგირეჩე

ლას პალმასი: ***ტრავმ***-ოსამა ტანანე, ალენ ჰალილოვიჩი

**ვილიარეალი-სევილია**

ვილიარეალი: ***ტრავმ***-ლეო სუარესი, სამუ, რუბენ სემედო, ანდრეს ფერნანდესი

სევილია: ***ტრავმ***-დანიელ კარიკო, ნიკოლას პარეხა

**ვალენსია-ბარსელონა**

ვალენსია: ***ტრავმ***-არავინ

ბარსელონა: ***ტრავმ***-ხავიერ მასკერანო, სერხი რობერტო, ანდრე გომესი, ოსმან დემბელე, რაფინია

**ესპანიოლი-ხეტაფე**

ესპანიოლი: ***ტრავმ***-არავინ

ხეტაფე: ***ტრავმ***-გაკუ შიბასაკი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 12 | 11 | 1 | 0 | 33-4 | 34 |
| 2.ვალენსია | 12 | 9 | 3 | 0 | 32-11 | 30 |
| 3.რეალი | 12 | 7 | 3 | 2 | 22-9 | 24 |
| 4.ატლეტიკო | 12 | 6 | 6 | 0 | 16-6 | 24 |
| 5.სევილია | 12 | 7 | 1 | 4 | 14-12 | 22 |
| 6.ვილიარეალი | 12 | 6 | 3 | 3 | 19-12 | 21 |
| 7.სოსიედადი | 12 | 5 | 3 | 4 | 25-22 | 18 |
| 8.ლეგანესი | 12 | 5 | 2 | 5 | 9-11 | 17 |
| 9.ბეტისი | 12 | 5 | 2 | 5 | 21-25 | 17 |
| 10.ხეტაფე | 12 | 4 | 4 | 4 | 19-14 | 16 |
| 11.ხირონა | 12 | 4 | 4 | 4 | 14-17 | 16 |
| 12.ლევანტე | 12 | 3 | 6 | 3 | 14-15 | 15 |
| 13.სელტა | 12 | 4 | 2 | 6 | 23-19 | 14 |
| 14.ესპანიოლი | 12 | 3 | 4 | 5 | 9-15 | 13 |
| 15.ბილბაო | 12 | 3 | 3 | 6 | 12-16 | 12 |
| 16.დეპორტივო | 12 | 3 | 2 | 7 | 15-23 | 11 |
| 17.ეიბარი | 12 | 3 | 2 | 7 | 11-25 | 11 |
| 18.მალაგა | 12 | 2 | 1 | 9 | 9-25 | 7 |
| 19.ალავესი | 12 | 2 | 0 | 10 | 6-20 | 6 |
| 20.ლას პალმასი | 12 | 2 | 0 | 10 | 8-30 | 6 |

### გერმანია



| | | | |
|---|---|---|---|
| 25.11 ფრაიბურგი-მაინცი | 2.7 | 3.3 | 2.6 |
| 25.11 ლაიფციგი-ვერდერი | 1.5 | 4.4 | 6.0 |
| 25.11 დორტმუნდი-შალკე | 1.75 | 4.0 | 4.2 |
| 25.11 აუგსბურგი-ვოლფსბურგი | 2.37 | 3.25 | 3.0 |
| 25.11 აინტრახტი-ლევერკუზენი | 2.6 | 3.4 | 2.62 |
| 25.11 გლადბახი-ბაიერნი | 6.0 | 4.5 | 1.5 |
| 26.11 ჰამბურგი-ჰოფენჰაიმი | 2.8 | 3.5 | 2.4 |
| 26.11 კიოლნი-ჰერტა | 2.4 | 3.1 | 3.1 |

**ფრაიბურგი-მაინცი**

ფრაიბურგი: ***ტრავმ***-მაიკ ფრანცი, ფლორიან ნიდერლეხნერი, ფილიპ ლენჰარტი, ვინსენტ სიერო

მაინცი: ***ტრავმ***-რენე ადლერი, კარიმ ონისივო

**ლაიფციგი-ვერდერი**

ლაიფციგი: ***ტრავმ***-შტეფან ილსანკერი

ვერდერი: ***ტრავმ***-მაქს ეგეშტეინი

**დორტმუნდი-შალკე**

დორტმუნდი: ***ტრავმ***-ლუკაშ პიშჩეკი, მარკო როისი, სებასტიან როდე

შალკე: ***ტრავმ***-ნაბილ ბენტალები, ლეონ გორეცკა

**აუგსბურგი-ვოლფსბურგი**

აუგსბურგი: ***ტრავმ***-სერჟიო კორდოვა, მარტინ ჰინტერეგერი

ვოლფსბურგი: ***ტრავმ***-იგნასიო კამაჩო

**აინტრახტი-ლევერკუზენი**

აინტრახტი: ***ტრავმ***-მარკო რუსი, ჯონათან დე გუზმანი

ლევერკუზენი: ***ტრავმ***-სვენ ბენდერი

**გლადბახი-ბაიერნი**

გლადბახი: ***ტრავმ***-იონას ჰოფმანი, იბრაჰიმ ტრაორე, რაულ ბობადილა, ლასლო ბენეში

ბაიერნი: ***ტრავმ***-ტიაგო ალკანტარა, ტომას მიულერი, მანუელ ნოიერი

**ჰამბურგი-ჰოფენჰაიმი**

ჰამბურგი: ***ტრავმ***-ალბინ ეკდალი, ნიკოლაი მიულერი

ჰოფენჰაიმი: ***ტრავმ***-ბენჯამინ ჰუბნერი, ადამ ზალაი, პაველ კადერაბეკი, ერმინ ბიჩაკჩიჩი

**კიოლნი-ჰერტა**

კიოლნი: ***ტრავმ***-კრისტიან კლემენსი, მარსელ რიისე, დომენიკ ჰაინცი, მარკო ჰოგერი, იონას ექტორი

ჰერტა: ***ტრავმ***-ვალენტინ შტოხერი, ნიკლას სტარკი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 12 | 9 | 2 | 1 | 30-8 | 29 |
| 2.შალკე | 12 | 7 | 2 | 3 | 16-10 | 23 |
| 3.ლაიპციგი | 12 | 7 | 2 | 3 | 20-15 | 23 |
| 4.გლადბახი | 12 | 6 | 3 | 3 | 21-21 | 21 |
| 5.დორტმუნდი | 12 | 6 | 2 | 4 | 29-16 | 20 |
| 6.ჰოფენჰაიმი | 12 | 5 | 5 | 2 | 21-15 | 20 |
| 7.აინტრახტი | 12 | 5 | 4 | 3 | 14-12 | 19 |
| 8.ჰანოვერი | 12 | 5 | 3 | 4 | 15-15 | 18 |
| 9.ლევერკუზენი | 12 | 4 | 5 | 3 | 25-18 | 17 |
| 10.აუგსბურგი | 12 | 4 | 4 | 4 | 16-14 | 16 |
| 11.შტუტგარტი | 12 | 5 | 1 | 6 | 12-15 | 16 |
| 12.მაინცი | 12 | 4 | 3 | 5 | 13-17 | 15 |
| 13.ვოლფსბურგი | 12 | 2 | 8 | 2 | 16-17 | 14 |
| 14.ჰერტა | 12 | 3 | 5 | 4 | 16-19 | 14 |
| 15.ჰამბურგი | 12 | 3 | 1 | 8 | 10-20 | 10 |
| 16.ვერდერი | 12 | 1 | 5 | 6 | 8-14 | 8 |
| 17.ფრაიბურგი | 12 | 1 | 5 | 6 | 7-24 | 8 |
| 18.კიოლნი | 12 | 0 | 2 | 10 | 4-23 | 2 |

### იტალია

| | | | |
|---|---|---|---|
| 25.11 ბოლონია-სამპდორია | 2.6 | 3.25 | 2.7 |
| 25.11 კიევო-სპალი | 1.91 | 3.5 | 4.0 |
| 25.11 სასუოლო-ვერონა | 1.67 | 3.8 | 5.0 |
| 25.11 კალიარი-ინტერი | 5.5 | 3.8 | 1.61 |
| 26.11 უდინეზე-ნაპოლი | 8.0 | 5.0 | 1.36 |
| 26.11 მილანი-ტორინო | 1.73 | 4.0 | 4.33 |
| 26.11 ჯენოა-რომა | 4.8 | 3.8 | 1.7 |
| 26.11 ლაციო-ფიორენტინა | 1.65 | 4.0 | 4.8 |
| 26.11 იუვენტუსი-კროტონე | 1.15 | 7.5 | 17.0 |

**ბოლონია-სამპდორია**

ბოლონია: ***ტრავმ***-ფედერიკო დი ფრანჩესკო, სეზარ ფალეტი, ფილიპ ჰელანდერი, ანდრეა პოლი

სამპდორია: ***ტრავმ***-ფილიპ ჯურჯიჩი

**კიევო-სპალი**

კიევო: ***ტრავმ***-მეჰდი ლერისი

სპალი: ***ტრავმ***-მირკო ანტენუკი, ფილიპო კოსტა, მარკო ბორიელო, ფედერიკო ვივიანი

**სასუოლო-ვერონა**

სასუოლო: ***ტრავმ***-ალფრედ დუნკანი, ტიმო ლეტხერტი

ვერონა: ***ტრავმ***-მატია ძაკანი, მოის კინი, ალექს ფერარი

**კალიარი-ინტერი**

კალიარი: ***ტრავმ***-ალესანდრო დეიოლა, გრეგორი ვან დერ ვილი, ლუკა გროსტა, ნიკოლა ბარელა

ინტერი: ***ტრავმ***-რობერტო გალიარდინი, მირანდა

**უდინეზე-ნაპოლი**

უდინეზე: ***ტრავმ***-ემილ ჰალფრედსონი, სტინგერ ლარსენი

ნაპოლი: ***ტრავმ***-არკადიუშ მილიკი

**მილანი-ტორინო**

მილანი: ***ტრავმ***-ჰაკან ჩაჰანოღლუ, ალესიო რომანიოლი, დავიდე კალაბრია, ანდრეა კონტი

ტორინო: ***ტრავმ***-ანტონიო ბარეკა, სამუელ გუსტაფსონი, სიმონე ედერა

**ჯენოა-რომა**

ჯენოა: ***ტრავმ***-პეტარ ბრლეკი, ფრანჩესკო მილიორე, არმანდო იზო, ლუკა როზეტინი, გორან პანდევი, ნიკოლას სპოლი

რომა: ***ტრავმ***-პატრიკ შიკი

**ლაციო-ფიორენტინა**

ლაციო: ***ტრავმ***-ფელიპე კაისედო, დავიდე დი ჯენარო

ფიორენტინა: ***ტრავმ***-მილან ბადელი, რაფიკ ზენინი

**იუვენტუსი-კროტონე**

იუვენტუსი: ***ტრავმ***-ხუან კუარდადო, სტეფანო სტურარო

კროტონე: ***ტრავმ***-ანტე ბუდიმირი, ოლივერ კრაგი, მარკო ტუმინელო

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 13 | 11 | 2 | 0 | 34-9 | 35 |
| 2.ინტერი | 13 | 10 | 3 | 0 | 25-9 | 33 |
| 3.იუვენტუსი | 13 | 10 | 1 | 2 | 37-14 | 31 |
| 4.რომა | 12 | 10 | 0 | 2 | 23-8 | 30 |
| 5.ლაციო | 12 | 9 | 1 | 2 | 32-14 | 28 |
| 6.სამპდორია | 12 | 8 | 2 | 2 | 27-15 | 26 |
| 7.მილანი | 13 | 6 | 1 | 6 | 19-18 | 19 |
| 8.ტორინო | 13 | 4 | 6 | 3 | 18-20 | 18 |
| 9.ფიორენტინა | 13 | 5 | 2 | 6 | 22-18 | 17 |
| 10.ბოლონია | 13 | 5 | 2 | 6 | 14-17 | 17 |
| 11.კიევო | 13 | 4 | 5 | 4 | 15-20 | 17 |
| 12.ატალანტა | 13 | 4 | 4 | 5 | 19-18 | 16 |
| 13.კალიარი | 13 | 5 | 0 | 8 | 12-21 | 15 |
| 14.უდინეზე | 12 | 4 | 0 | 8 | 18-23 | 12 |
| 15.კროტონე | 13 | 3 | 3 | 7 | 11-24 | 12 |
| 16.სასუოლო | 13 | 3 | 2 | 8 | 8-22 | 11 |
| 17.სპალი | 13 | 2 | 4 | 7 | 11-21 | 10 |
| 18.ჯენოა | 13 | 2 | 3 | 8 | 11-19 | 9 |
| 19.ვერონა | 13 | 1 | 3 | 9 | 10-29 | 6 |
| 20.ბენევენტო | 13 | 0 | 0 | 13 | 6-33 | 0 |

### საფრანგეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 25.11 რენი-ნანტი | 2.45 | 3.0 | 3.1 |
| 25.11 მონპელიე-ლილი | 2.05 | 3.2 | 3.8 |
| 25.11 დიჟონი-ტულუზა | 2.3 | 3.2 | 3.2 |
| 25.11 მეცი-ამიენი | 2.4 | 3.1 | 3.1 |
| 25.11 ტრუა-ანჟე | 3.0 | 3.25 | 2.37 |
| 25.11 კაენი-ბორდო | 3.3 | 3.2 | 2.25 |
| 26.11 ნიცა-ლიონი | 3.1 | 3.6 | 2.2 |
| 26.11 მარსელი-გენგამი | 1.53 | 4.33 | 5.5 |
| 26.11 მონაკო-პსჟ | 5.0 | 4.5 | 1.57 |

**რენი-ნანტი**

რენი: ***ტრავმ***-ფატუ მუსა, სანინ პრჩიჩი, ისმაილ სარი

ნანტი: ***ტრავმ***-კალიფა კულიბალი

**მონპელიე-ლილი**

მონპელიე: ***ტრავმ***-არავინ

ლილი: ***ტრავმ***-ჰამზა მენდილი

**დიჟონი-ტულუზა**

დიჟონი: ***ტრავმ***-ნაიმ სლიტი, ვესლი საიდი, ვესლი ლაუტოა

ტულუზა: ***ტრავმ***-ჯიმი დურმაზი

**მეცი-ამიენი**

მეცი: ***ტრავმ***-მატიუ უდოლი, აბლი იელოუ

ამიენი: ***ტრავმ***-გუსამა ფოფანა

**ტრუა-ანჟე**

ტრუა: ***ტრავმ***-არავინ

ანჟე: ***ტრავმ***-არავინ

**კაენი-ბორდო**

კაენი: ***ტრავმ***-სტივ პეტერსი, იუსუფ აიტ ბენასერი

ბორდო: ***ტრავმ***-გაეტან ლაბორდე

**ნიცა-ლიონი**

ნიცა: ***ტრავმ***-ალან სენტ-მაქსიმი, იგნატიუს კანაგო

ლიონი: ***ტრავმ***-ჯორდან ფერი, კლემენტ გრანიე

**მარსელი-გენგამი**

მარსელი: ***ტრავმ***-გრეგუარ სერტიჩი, პატრის ევრა

გენგამი: ***ტრავმ***-ჯორდან იკოკო

**მონაკო-პსჟ**

მონაკო: ***ტრავმ***-ტომას ლემარი, ჯიბრილ სიბიდე

პსჟ: ***ტრავმ***-ტიაგო მოტა

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 13 | 11 | 2 | 0 | 43-9 | 35 |
| 2.მონაკო | 13 | 9 | 2 | 2 | 35-13 | 29 |
| 3.ლიონი | 13 | 7 | 5 | 1 | 32-15 | 26 |
| 4.მარსელი | 13 | 7 | 4 | 2 | 27-18 | 25 |
| 5.ნანტი | 13 | 7 | 2 | 4 | 12-13 | 23 |
| 6.კაენი | 13 | 6 | 1 | 6 | 9-14 | 19 |
| 7.სტ.ეტიენი | 13 | 5 | 3 | 5 | 14-18 | 18 |
| 8.მონპელიე | 13 | 4 | 5 | 4 | 9-8 | 17 |
| 9.ბორდო | 13 | 4 | 5 | 4 | 17-19 | 17 |
| 10.ტულუზა | 13 | 4 | 4 | 5 | 12-17 | 16 |
| 11.რენი | 13 | 4 | 3 | 6 | 15-17 | 15 |
| 12.ამიენი | 13 | 4 | 3 | 6 | 11-14 | 15 |
| 13.დიჟონი | 13 | 4 | 3 | 6 | 17-22 | 15 |
| 14.ტრუა | 13 | 4 | 3 | 6 | 13-18 | 15 |
| 15.გენგამი | 13 | 4 | 3 | 6 | 14-22 | 15 |
| 16.ანჟე | 13 | 2 | 8 | 3 | 17-20 | 14 |
| 17.ნიცა | 13 | 4 | 2 | 7 | 15-20 | 14 |
| 18.სტრასბური | 13 | 3 | 4 | 6 | 15-24 | 13 |
| 19.ლილი | 13 | 3 | 3 | 7 | 12-19 | 12 |
| 20.მეცი | 13 | 1 | 1 | 11 | 5-24 | 4 |

# საქართველო — აშშ: მილტონ ჰეიგმა შემადგენლობა დაასახელა

თიბისი რაგბის სერიების მორიგ მატჩში საქართველოს მორაგბეთა ნაკრები აშშ-ის ეროვნულ გუნდს 25 ნოემბერს „მიხეილ მესხზე" დაუხვდება. მილტონ ჰეიგმა 2017 წლის დასკვნითი მატჩისთვის ბორჯღალოსნების შემადგენლობა გამოაცხადა. წინა 2 ტესტისგან განსხვავებით, სასტარტო თხუთმეტეულში 5 ცვლილებაა. მარქაფაში კიდევ სამი ისეთი მოთამაშეა, რომლებიც ამ შემოდგომაზე 23-კაციან განაცხადში პირველად მოხვდნენ.

ბორჯღალოსნების 28-წლიან ისტორიაში შაბათს საქართველოს მესამე ცენტურიონი ეყოლება! აღსანიშნავია, რომ 100-იან ზღვარს სამივე მორაგბემ წელს გადააბიჯა: 19 თებერვალს გერმანიასთან მერაბ კვირიკაშვილმა, 10 ივნისს კანადასთან დავით კაჭარავამ და 25 ნოემბერს მათ გიორგი ჩხაიძე შეუერთდება.

მოქმედ ბორჯღალოსნებს შორის უხუცესმა, 36 წლის „ბინგომ", პირველი სანაკრებო კეპი 2002 წლის მარტში ჰოლანდიასთან მოიხვეჭა. მას შემდეგ ის ნაკრების უცვლელად წევრად იქცა და განვლილ 99 ტესტში 10 ლელო გაიტანა. მან ბორჯღალოსნების შემადგენლობაში ოთხივე მსოფლიო თასზე (2003, 2007, 2011 და 2015) ითამაშა.




ამერიკასთან შერკინების პირველი ხაზი უცვლელია — მიხეილ ნარიაშვილი, ჯაბა ბრეგვაძე და ლევან ჩილაჩავა. მეორე ხაზში კოტე მიქაუტაძეს ჩხაიძე შეუწყვილდება, ხოლო გიორგი ნემსაძემ მარქაფაში გადაინაცვლა.

სასტარტოში დაიწყებს თამაშს მესამეხაზელი შალვა სუთიაშვილი, რომელიც ოკეანეთის ტურნეზე გუნდის კაპიტანი იყო, შარშან ნოემბერში ორჯერ ითამაშა შეცვლაზე სამოასა და შოტლანდიის წინააღმდეგ და ნაკრებს 1-წლიანი შესვენების შემდეგ უბრუნდება. მესამე ხაზში იწყებენ თამაშს ვიტო კოლელიშვილი და ბექა ბიწაძე.

ფულბეკის პოზიციაზე სასტარტოში ბრუნდება მერაბ კვირიკაშვილი. ბორჯღალოსნების ისტორიაში საუკეთესო მექულე 108-ე კეპს მოიხვეჭს.

ერთი გარემარბი ახალგაზრდა მირიან მოდებაძეა, რომელიც ნაკრებში ზედიზედ მესამე თამაშს იწყებს. მეორე გარემარბი გიორგი კოშაძე, ან სოსო მათიაშვილი იქნება, რომელმაც განვლილ 2 მატჩში 15 ნომრად ითამაშა. მწვრთნელები გადაწყვეტილებას შაბათს, თამაშის დღეს მიიღებენ.

დაშავებულია მგზავი ლაშა ხმალაძე და მის ნაცვლად ვასილ ლობჟანიძეს რევაზ ჯინჭველაშვილი შეუწყვილდება, რომელიც განვლილ 2 მატჩში შეცვლაზე შევიდა.

